

ვეთიბ

REGION

ფასი 2 ლარი
№26 2018 მაისი



აღსაყდრებთან
40 წელი

ჩვენს სტუმარს
უფლის გზაზე

17 წლის ელენე
კონსტანდინილის
ბერძნულზე


ქანა დაკარგვს...
ანდრე კარბელაშვილი

გრიგოლ გუჩუაძე -
სამხედრო და
სამთავრო მოღვაწე
ღვთისმეტყველები

გვიწერეთ პეზის
ჯიშო ჯანი
თეიმურაზ ლომთაძე

შაღვა ძნელადის ნახატებს ელის
ღამფანსებლები მომავლიდან...

ბახმაროს პეიზაჟები



შემოქმედის სამონასტრო კომპლექსი2-4	„შურსა და ცილობე ამაღლებული..16-17
აღსაყდრებიდან 40 წელი5-8	ბახმარო18
ქართლის სამეფო - ჯავახისის ძლიერი სახელმწიფო9	ვაროატოზი ფუტყრის ანემიას20-22
ქართველები საბერძნეთში10-11	ჩემი თბილისი და ფიროსმანი.23-25
ბერძენი ყანა დარჯი საქართველოდან11-12	დაღის ხეობაში მზაქრობაა მოსა- ლოდნელი..26-27
გრიგოლ გურიელი და ძველი ქართული ხელნაწერები13-14	მსოფლიოში ერთადერთი, ანუ ში- ნაური მღვდლის ამბავი..28-31
გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები14-15	ანექდოტები32

პირველი ქართული ჟურნალი გურულაბზე



REGION

კუჩხაძე

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
ლელა სურმავა

ტელ: 558 25 65 50

ელფოსტა: Guriaregion14@mail.ru;
lelasurmava@mail.ru


პირვანო აკითხველო!

მოგვანოდეთ პუბლიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ თქვენი პრობლემები და მოგვიყევით საინტერესო ამბები. გაითვალისწინეთ, ჟურნალში განთავსება ფასიანია.

ჟურნალი თავისუფალი ჰრასის პრინციპით ხელმძღვანელოვს.

რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეა ჰასუს აზრს აზრობი, ხოლო სარედაქციო ბაჟსა ჰასუსისგებლობა რედაქციის შიგნით ეხილვა.

შემოქმედის სამონასტრო კოპლექსი



შემოქმედის მაცხოვრის სახელობის საკათედრო ტაძარი

მთის პიკში აღის შექმნა ქედი, ეკლესია დიდ შენი, გაუშაბათიანი, შექმეყოთი ყოვლითა, იყო ესე სასწაილმანდრიტო, აქ აღს საყბისკოპოსო, მწყემსი მს ჭყითის ვყლითა...

ფსუქმტი პატრიარქი

შემოქმედის ეპარქიის ცენტრი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდინარე ბჟუჟის მარცხენა ნაპირზე, სოფელ შემოქმედში მდებარეობს. ეკლესია აიგო, როგორც გურიის მთავრების სამარხ-სალოცავი, განეკუთვნება XII საუკუნის ძეგლს. XVI საუკუნის 70-იან წლების ბოლოს სამცხე-საათაბაგოს თურქთა მიერ დაპყრობის შემდეგ ვახტანგ გურიელმა საგანგებოდ ააშენა გუმბათოვანი ეკლესია ზარზმა. გურიელს სურდა, ზარზმის მონასტრიდან XVI საუკუნეში გადმოსვენებული ფერიცვალების ხატის და სხვა ძვირფასი ნივთების დაბინავება. ლეგენდის თანახმად, დიდი თურქობის დროს, სამცხის ზარზმის მდიდარ ეკლესიას აოხრების და გაძარცვის საფრთხე შეექმნა, აუცილებელი იყო განძის გადამალვა. შემოქმედის ფერიცვალების ეკლესიაც სწორედ ამიტომ აიგო. განძს ამ ადგილზე დაასვენებდნენ, ზარზმაში თურქები შეიჭრნენ, სასულერო პირებმა ეკლესიის ხატები და განძი ხარს აკიდეს, თქვეს, – ხარი სადაც გაჩერდება, მონასტერს იქ ავაშენებთო. ხარმა იარა და შემოქმედში გაჩერდა, მართლაც, მაცხოვრის სახელობის სამნავიან ეკლესიას გვერდით გუმბათოვანი ტაძარი მიუშენეს...

XVII საუკუნის მიწურულს შემოქმედში მოღვაწეობდა ეპისკოპოსი იაკობ დუმბაძე. მან 1687 წელს იმოგზაურა ევროპაში და რომის პაპს ინოკენტი XI-ს შეხვდა. მონასტრის მთავარი ტაძარი აგებული იყო მთის მწვერვალზე, ხოლო კალთებზე ბერების სენაკები. სენაკების ქვემოთ, ცნობილმა მაგალობელმა, გიორგი დუმბაძემ ააშენა თანამოსაგრების სენაკები, მეორე მხარეს იყო დედათა მონასტრები. 1820 წელს იმერეთის აჯანყების ჩახშობის დროს, გენერალმა ველიანიშვილმა შემოქმედის ციხე და მის კედლებში მოქცეული სამონასტრო ნაგებობანი ააფეთქა. 1846 წელს შემოქმედის მონასტერს არ ჰყავდა წინამძღვარი, ხოლო 1847-1854 წლებში მონასტრის წინამძღვარი იყო არქიმანდრიტი ანთიმოზი.


1894-1895 წლებში შემოქმედში იმოგზაურეს ოლივერ

და მარჯორი უორდროპებმა. მარჯორი მოიხიბლა მონასტრის სილამაზით, მან ანდერძი დატოვა, – მონასტრის გალავანში დამმარხეთო.

XIX საუკუნეში გაძარცვეს მონასტერი, დაზიანდა ტაძარი, დარაჯები დასავლეთ მინაშენის შუაგულ ოთახში გასათბობად ცეცხლს ანთებდნენ. ჭვარტლმა ფრესკები გააშავა. ამას დაემატა წვიმის წყალი, წვიმამ კედლის მხატვრობა სულ ჩამორეცხა, ნივთები დაინესტა. მოგვიანებით, ვინმე ნიკო გალოგრემ მონასტრის შეკეთებას ორასი მანეთი შესწირა.

შემოქმედის მონასტერი სამი ძეგლისგან შედგება, – ორი ერთმანეთზე მიდგმული ტაძარი, მაცხოვრის ეკლესია და XVI საუკუნის გუმბათოვანი ეკლესია – ზარზმა. მესამე ძეგლია XVI საუკუნის სამრეკლო, რომელიც 1831 წელს აღადგინეს. სამრეკლო ერკეთელმა აზნაურმა არსენ მაგალობლიშვილმა ააგო. ზარზმის ეკლესიის სამხრეთ კედელზე გამოსახული იყო მამია II გურიელი და მისი მეუღლე თინათინი (შესაბამისი წარწერით). ზარზმის კედელზე შემორჩენილია პირველი შემოქმედელი ეპისკოპოსის ბესარიონ მაჭუტაძის გამოსახულება...

ეკლესიის კედელზე აღმოაჩინეს წარწერა – გრიგოლ გალატოზუხუცესსა ბანდასძესა და... პალეოგრაფიული ნიშნებით, წარწერა XI-XV საუკუნეებით თარიღდება. ბანდასძეთა გვარი გურიის ისტორიულ წყაროებში არ გვხვდება. ბანდაიძეები XIII-XV საუკუნეებში ქსნის ხეობაში ცხოვრობდნენ. მწიგნობარი, მხატვარი და ხუროთმოძღვარი გრიგოლ ბანდასძე XV საუკუნეში მოღვაწეობდა. თუმცა დაზუსტებით არავინ იცის, არის თუ არა ის შემოქმედის წარწერაზე მოხსენიებული პიროვნება. ბანდასძის მიერ შემოქმედის ეკლესიის აგება, დაკავშირებული



მონასტრის სამრეკლო

უნდა იყოს XVI საუკუნეში იმერეთის სამეფოდან გურიის სამთავროს გამოყოფასა და შემოქმედის საეპისკოპოსო კათედრის დაარსებასთან.

შემოქმედი და **ზარზმა** ერთი სამონასტრო ორგანიზაცია იყო, ჰქონდა ერთი სამმართველო აპარატი, მონასტრის სათავეში იდგა წინამძღვარი – არქიმანდრიტი. სამონასტრო ყმა-მამულს განაგებდა საშემოქმედლოს მოურავი, ის საერო პირი იყო, ამ თანამდებობას **ნაკაშიძეები** იკავებდნენ. მონასტრის საეკლესიო ქონება **კანდელას** ეზარა, შემოქმედელ მიტროპოლიტებს ჰყავდათ ქორეპისკოპოსები – **მეომფორეები**. შემოქმედის მონასტერი მდიდარ მამულებს ფლობდა...

შემოქმედის მონასტერში მრავალი ძვირფასი ხატი და საეკლესიო ინვენტარი იყო დაცული, უმრავლესობა ადგილზე მოჭედილი, ნაწილი კი საქართველოს სხვა კუთხეებიდან (ძირითადად სამცხე-საათაბაგოდან) გადატანილი. მონასტერს ჰქონდა მდიდარი წიგნთსაცავი, აქ დაცული იყო ორი უნიკალური ხელნაწერი – **გულანი** ანუ ლოცვანი და **ფუტკარი** ანუ ბერძნული ეკლესიის ზოგი წმინდანების ცხოვრების კრებული, სადაც მოთხრობილია ქართული და სომხური ეკლესიების განხეთქილების ამბავი, VI და VII **ქალკედონის კრებულის** შემდეგ. გულანი 1004 ფურცელს შეიცავს. ამბების ჩანერა დაწყებულია 1512 წელს და დასრულებულია 1749 წელს. ბოლო ჩანაწერი ეკუთვნის **იაკობ შემოქმედელს**. შემოქმედის ტაძარში შენახული ჰქონდათ **კახაბერ II გურიელისა** და მისი მეუღლის **ანას** მიერ შეწირული მაცხოვრის ხატი.



ხატის სავედრებელ წარწერაში ნათქვამია, – **დავასვენეთ ხატი ესე სამიტროპოლიტოსა ხარისხსა ზედა შემოქმედს**. წარწერიდან ჩანს, რომ კახაბერის დროს (1479-1483 წწ.) შემოქმედი უკვე სამიტროპოლიტო კათედრა იყო.

შემოქმედში დაცული იყო **გიორგი II გურიელისა** და **დედოფალ ელენეს** შეწირული მაცხოვრის ოქროს ხატი. ასევე ოქროთი დაფერილი ვერცხლის ჯვარი – წარწერაში მოხსენიებულია გიორგი გურიელი, დედოფალი ელენე და მათი შვილი მამია, ასევე შემოქმედელი ეპისკოპოსი ბესარიონ მაჭუტაძე. **ვახტანგ I გურიელის** მეუღლემ **თამარ ათაბაგმა** ეკლესიას შესწირა ღვთისმშობლის ხატი. ვახტანგი და მისი მეუღლე იხსენიებიან ზარზმის ტაძრის წარწერაში (1572 წ.). საინტერესოა ვერცხლის ხატი, რომლის მინაწერში მოხსენიებულია არიან **მამია II გურიელი** და მისი მეუღლე **თინათინი**, ოქრომჭედელი ივანე ნიქარიძე (წარწერა 1601 წლით თარიღდება). მონასტერში შენახული ჰქონდათ სოფელ გოგითიდან გადმოსვენებული წმინდა დემეტრეს მოოქროვილი ვერხლის ხატი. წმინდა გიორგის ხატი ამალღებიდან, წმინდა გიორგის ოქროს ხატი, საეკლესიო ინვენტარიდან გამორჩეულია ნიკოლოზ შემოქმედელის მიერ განახლებული ოქროს ბარძიმი 46 ძვირფასი ქვით, ოქროს ფეშხუმი, ოქროს მასიური დაფარნა. ეკლესიაში ინახავდნენ ღვთისმშობლის ხატის მოოქროვილ კუბოს, რომელიც მოაჭედინა ვინმე **გიორგი კავსაძემ**.

XVI-XVII საუკუნეებში შემოქმედში თავი მოიყარა მესხეთის ზარზმის ნივთებმა, – ქართულ ხატებს შორის უძვირ-



შემოქმედის მონასტერი, 1830 წლის ნახატი



შემოქმედის მიტროპოლიტი იოსებ კიკვაძე და არქიმანდრიტი ელიზბარ ბაბუხაძე



მონასტრის ფრესკა ბ. ვადაჭკორია

ფასესია, 886 წლით დათარიღებული **ფერიცვალების ხატი**. ზარზმიდან გადმოსვენებული მეორე ხატი იყო **ლაკლაკიძეების ღვთისმშობლის ხატი** – XI საუკუნის ქართული ოქრომჭედლობის შედეგია. ასევე 1008 წლის ვერცხლის ფირფიტა. თამარ ხურციდის შეწირული ღვთისმშობლის ოქროს ხატი, ვერცხლის ბარძიმი ორი ფეშუმით. სამცხე-საათაბაგოს ეკლესიებიდან შემოქმედში გადმოსვენეს მოქროვილი ვერცხლის ჯვარი, ღვთისმშობლის ოქროს ხატი 32 ძვირფასი ქვით, ღვთისმშობლის მოქროვილი ვერცხლის ხატი, რომელიც ქაიხოსრო გურიელმა 700 მარჩილად შეიძინა და სამცხიდან გურიაში გადაასვენა.

1861 წელს მონასტერი მაჰმადიანმა აჭარლებმა გაძარცვეს და ძვირფასეულობა გაიტანეს. გამტაცებლები შეიპყრეს, გატაცებული ნივთების ნაწილი მონასტერში დააბრუნეს. სწორედ ამ წელს დაიკარგა ღვთისმშობლის გამოსახულება – ნარნერაში მოხსენიებული იყო **კახაბერ I გურიელი**. 1873 წელს დიმიტრი ბაქრაძემ აღწერა XVI საუკუნის წმინდა დიმიტრის ჭედური ხატი, ღვთისმშობლის ვერცხლის ხატი მთავარანგელოზებთან ერთად, წმინდა გიორგის რამდენიმე ხატი, ვერცხლის ჭედური ჯვარი, ფარსმან ერისთავის შეწირული ვერცხლის ჯვარი – ლიპარიტ გიორგობიანის შეწირული. 1889 წელს **ნიკოდიმ კონდაკოვს** ხატები ადგილზე


არ დახვდა, 1881 წელს მონასტრიდან გაიტანა თბილისელმა მხატვარმა **სტეფანე საბინ-გუსმა**. მან საქართველო-იმერეთის სინოდიდან მიიღო ნებართვა, შემოქმედისა და ჯუმათის მონასტრებიდან სიძველეები რესტავრაციის მიზნით წაეღო. 1889 წელს ნიკოდიმ კონდაკოვმა აღწერა მონასტრის სიძველეები.

ამ დროს შემოქმედის მონასტერი იყო შემოქმედელი ეპისკოპოსებისა და გურიელების საძვალე. ტაძარში დაკრძალულია მამია III გურიელი, მამია V გურიელი და მისი დედა მარინე. შემოქმედელი ეპისკოპოსების საფლავები ეკლესიის ეზოშია, გადმოცემის თანახმად, მონასტერში დაკრძალულია მგალობლები ანტონ ხუნდაძე და მისი შვილი დავითი, თუმცა საფლავები დაიკარგა.


1990 წლამდე შემოქმედში იყო დუმბაძეების სახლ-კარი, სადაც ცხოვრობდა ცნობილი პიროვნება დიმიტრი დუმბაძე. ამ ადგილს ხშირად სტუმრობდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. **შემოქმედელი მიტროპოლიტის იოსებ (კიკვაძე)** ლოცვა-კურთხევით შემოქმედის ტაძარში დაფუძნებული არის მამათა მონასტერი. მონასტრის წინამძღვარია **არქიმანდრიტი ელიზბარ (ბაბუხაძე)**.

შეგვეწიოს ამ წმინდა ადგილის მადლი.

ლელა სურმავა



სამრევლოს ნარნერა



არქიმანდრიტი ელიზბარ ბაბუხაძე ბ. ვადაჭკორია



ფერიცვალების მონასტრის ფერიცვალება სუთი და ექვსქიმიანი ვარსკვლავები

აღსაყდრებიდან 40 წელი

რეზო სტურუა

უფლის გზაზე

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერო მოღვაწეობის გაცნობიერება, მით უფრო შეფასება, უკიდურესად პრაგმატულ გონებაშიც კი წარმოუდგენლად დიადთან მიახლოებისა და ზიარების განცდას ბადებს. ამ სიდიადის არსის, მრავალსახოვანების ბოლომდე წვდომა კი ერთი ადამიანისთვის არ არის ადვილი, რადგან ინდივიდუალური ხედვის ნაყოფი ბუნებრივად არის აღბეჭდილი სუბიექტურობის ტვიფარით.

და ამის მიუხედავად, ამჟამად საყოველთაოდ არის გაცნობიერებული, რომ მისმა უწმინდესობამ დედაეკლესიას ათეიზმის ეპოქაშიც და მის შემდეგაც არა მარტო შეუნარჩუნა თავისთავადობა, არამედ ჩვენი ერის სულიერი და ზნეობრივი ორიენტირისა და დასაყრდენის ისტორიული მისია დაუბრუნა.

1977 წლიდან დღემდე ქართულმა ეკლესიამ მისი უწმინდესობის მწყემსმთავრობით ურთულესი გზებით იარა. ისტორიას უყვარს ანალოგიები. ჩვენმა თანამედროვეობამ მისი უწმინდესობის მოღვაწეობა მოსე წინასწარმეტყველის ძალისხმევის მსგავსებით აღბეჭდა. ამით წარმოაჩინა არა მხოლოდ ეკლესიის საჭეთმპყრობლის სიმძიმე, არამედ – ერის სულიერი მამის მოვალეობის უდიდესი პასუხისმგებლობაც. ერის მიერ მისი უწმინდესობის მოღვაწეობის დიდი შინაარსის გაცნობიერების გამოხატულებაა საყოველთაო სიყვარული, სასოება, რომლის კონკრეტული დასტურია ასევე მისი უწმინდესობის პიროვნებითა და მოღვაწეობით აღტაცების გამომხატველი შემოთავაზებული გულწრფელი ლექსები.

არჩილ ფრანგიშვილი



ილია II-ს

(აღსაყდრების 40 წლისთავზე)

როგორც ორმოცი
წელი მოსემ,
მოდგმა თავისი
ატარა სინას,
ქანაანის
მიწის ძებნაში,
შენ მიუძღოდი
იბერიის
შენირულ შვილებს,
შველად ედექი
ძმათამკვლელი
მტრობის ღელვაში.

ორმოცი წელი,
მზის ამოსვლის
ვედრება ცრემლით,
ცოდვების შვილთა
ცოდვათ ზიდვის
ორმოცი წელი.

საქართველოა
დღეს თავმდაბლად
მოსული მთხვევად,
გთხოვ, გაუწოდო
ლოცვისაგან
დაღლილი ხელი.

უწმინდესი და უნეტარესი თავისი
წინაპრის – შიოლას ძეგლს
კოცნიდა და ტიროდა

იქ, დარიალის ვიწრო ქარაბთან

არაგვში, სადაც ურცხვად ჩამდგარა
და ჩოხის კალთა აუქეცია,
კავკასი, სადაც გახელებულა
და დედამიწა დაუბრეცია,

ვიხილე, როგორ შეშფოთდა იგი
და არაგვიდან ფეხი ამოდგა,
შიოლას ძეგლთან მუხლმოდრეკილი
უნეტარესი როცა წამოდგა.

თეთრი მოხუცის თეთრი ცრემლები,
შავ არაგვს როგორ აფერმკრთალებდა,
თითქოს ცამ ლურჯმა შეწყვიტა
სუნთქვა,
იქ, დარიალის ვიწრო კარებთან.

და როცა არაგვს მიეცა გული,
შემოეპარა ფოლადი ხმაში,
ტიციანივით უღვთოდ მანამეს
და ყაჩაღებმა მეც მომკლეს მაშინ.

ანგელოზებმა მაცნეს ზეციდან,
რომ არ ვიყავი მე ერთადერთი,
ვისაც ტკიოდა ის სატკივარი
და ამ ტკივილში შველოდა ღმერთი.

შენი ჯვარი

შიშველი ხისგან
ნაჭედი ჯვარი,
რომელზეც ქრისტეს
ტანჯვა ჰკიდია,
უკვდავებისა
და მოკვდავს შორის
მტლად გადებული
უფლის ხიდია.

შენც შენი ჯვარი
გაქვს საზიდარი,
ჯვარი, რომელიც
მხრებზე გკიდია,
მტლად გადებული
უფსკრულის თავზე,
შენი კაცობის
ბენვის ხიდია.

უფალო

უფალო, ვერ ვიდექ
მორჩილად ხატის წინ,
თუმც სული თბებოდა
მონასტრის ზარებთან,
არ მძულდა მტერი და
მიყვარდა მოყვარე
და ფეხებს ვინმენდდი
ცხოვრების კარებთან.

გთხოვ, შემაძლებინო
სიკვდილის წინაშე,
ბოლო წუთს, ვედრებით
თავი არ დავლუნო,
ახლობლებს, მეგობრებს
გამოვემშვიდობო,
კარები მივხურო,
არ გავიჯახუნო.

თუ...

თუ თანაგრძნობა
გიმშვენებს თვალებს,
სიტყვას – სიმართლე,
გულს – ერთგულება,
მტრისთვისაც თუკი
ალავლენ ლოცვას,
სხვის სულში სითბო
თუ გეგულება,
ხელს მონყალება
თუ მიაჩვიე,
სიკეთე ანრთე
მისი დანახვით,
თუ ობლის გულში
დარგე იმედი



და მშობლის საფლავს
ვერ ჭამს ბალახი,
მაშინ სინათლის თეთრი ფრინველი,
მაგ დალილ მხრებზე
დაგაფრინდება
და უფლისაკენ
მიმავალ გზაზე
გზის გამკვალავი
არ დაგჭირდება.

მადლობა, უფალო

ვფიქრობ, რომ უფალი
დღის ხიდზე გამიყვანს,
ხვალამდე დამაცდის
და მერე წამიყვანს.

სამადლო საქმისთვის
დიდი დრო არ მრჩება
და თუ არ ვიჩქარე
ვალებიც დამრჩება.

მინდა, რომ მოვასწრო
სიკეთის დანახვა,
მაცთური სიამის
შევიძლო არნახვა.

მოვასწრო გავიგო
ფიქრები ეულის,
ვიტკინო მტანჯველი
ტკივილი სნეულის.

მივიდე, მეძახის
უმწეო მცხოვარი,
გზაზე რომ მორთხმულა
გროშების მთხოვარი.

დროც ბევრი არ დამრჩა
მომავალ დილამდე,
მანამდე, ხომ უნდა
მივიდე შინამდე.

და რადგან სიკეთე
მთელი დღე ზარმაცობს,
უფალი, წინასწარ,
ბოლო დღეს არ მაცნობს.

მადლობა, უფალო,
ნაჩუქარ დღისათვის,
ლამაზი მინის და
მონმენდილ ცისათვის.

* * *

ამ სამყაროში
სულდგმულთა შორის,
უტყვია ის, თუ
თუნდაც ხმიანი,
მერნმუნეთ, გეტყვი
გამორჩეულად
ერთადერთია
ადამიანი,
ვისაც რომ ძალუძს,
ფეხზე მდგომარეს
უყუროს ზეცას...
იგია ერთი...
რადგანაც სჯერა,
რომ მხოლოდ ცაში
არის შვება და
იქ ცხოვრობს ღმერთი.

ესაც გაივლის

ამდენი ტანჯვა, შიმშილი
უკვალოდ ხომ არ ჩაივლის,
უფალი ხელს გამოგინვდის
და ყველაფერი გაივლის.

სიმალღეზე ხარ? ნებევრობ?
უფალი მანდაც აივლის,
დამშვიდდი, ნუ ითამამებ,
სულ მალე ესეც გაივლის.

უფალო, მე მაპატიე

მყინვარწვერს ფეხი დავადგი,
ლამის გავცურე
ზღვაცაო,
ნელში მწყვეტს იმის სიმძიმე,
ვერ გავაკეთე
რაცაო.
ამ გვემას ვერ გავეჩეცი,
თუმც მტანჯავს ფიქრი
სხვაცაო:
უფალო, მე მაპატიე,
ვერ ვაპატიე
რაცაო.

პალი ბაქვა

მეძახის ბახტრიონი,
ხელს მიქნევს ძველი მცხეთა,
ვალი მაქვს ცხრა ძმისა და
სამასთა არაგველთა.

ვალი მაქვს გორგასლის და
დავითის, უდიდესის,
მეტეხზე წამებულთა
და მისი უწმინდესის.

ვალი მაქვს ოშკისა და
ვალი მაქვს ხახულისა,
საფლავის მეფე ქალის,
სიზმარში ნახულისა.


ვალი მაქვს ბაზალეთში
აკვანის ჩაძირულის,
დედოფალ ქეთევანის,
წამებით განწირულის.

ვალი მაქვს სიყვარულით
უფალთან ზიარების,
მოხუცი მეფის ტანზე
დაუთვლელ იარების.

ვალი მაქვს ათორმეტის
ათასთან გამკლავების,
პირტიტველ ჭაბუკების
დაკარგულ საფლავების.

ვალი მაქვს სიყვარულით
ანთებულ ქართველების,
ვალი მაქვს ნიკალასი
და ცისფერყანწელების.

ვალი მაქვს ტატოსი და
ვალი მაქვს გატუნასი,
ვალი მაქვს თამუნების
და ყველა დათუნასი.



ვალი მაქვს ყველა კენჭის,
მტკვრის მიერ გატანილის,
მონასტრის გუმბათზე ჯვრის,
ლოცვისთვის ატანილის.

ვალი მაქვს სიძულვილის,
ვალი მაქვს სიყვარულის,
ვალი მაქვს ტკივილის და
ვალი მაქვს სიხარულის.

ვალი მაქვს ეზოს ძაღლის
და მერცხლის ერთგულების,
ვალი მაქვს იმ სიტბოსი,
შენში რომ მეგულვების.

შემხვედები, მიხარხარ,
შეგხვედები, გიხარავარ,
ვალებით დავიხუნძლე
და მაინც მდიდარი ვარ.

სიზმარი

წუხელ ვიტანჯე,
თითქოს ვკვდებოდი,
სიზმარი ვნახე
რალაც მზაკვრული,
სისხლი წვეთებად
მელვენტებოდა,
უფალი იყო
ჯვარზე გაკრული.

და დილით, როცა
მზემ ამონვერა
ოქროს სხივები,
სიზმრად ნატრული
ცხადში ვიხილე,
სისხლით დაცლილი
საქართველოა
ჯვარზე გაკრული.

უფალო, შემაძლებინე

მივარბენინებ სნეულთან
წამლებს, აბებს თუ წვეთოვანს,
უფალო, შემაძლებინე,
ფეხი დავბანო კეთროვანს.

დღესაც კი ყურში უწვივის
პეტრეს იმ მამლის ყივილი,
უფალო, შემაძლებინე,
მეტკინოს სხვისი ტკივილი.

თუნდაც მომტაცონ ლოცვები
და დამიტოვონ წყევლები,
ობლად არ დამრჩეს, მიშველე,
უფალო, სხვისი ცრემლები.



არჩევანი

თქვი და ... წყალი
მიუტანეს ვარცლით
და პილატემ
დაიბანა ხელი,
ამით უთხრა ...
ესე ქრისტეს სისხლი
თქვენ გინდათო ...
მე არ ვარო მკვლეელი.

ბარაბას რომ
შეაგება ტაში,
უცოდველს რომ
ამჯობინა მკვლეელი,
მერე ეს ბრბო
შემობრუნდა სახით
და გააკრა
ჯვარზე მისი მსხნელი.

ჭილილი

სულში ორი მგელი ომობს
საძებნელად სიმართლისა,
ერთი მტრობის ჯილაა და
მეორე კი – სიმართლისა.

თუ განუხებს ბრძოლის ბედს
და შორიდან არ უყურებს,
გაიმარჯვებს მხოლოდ იგი,
შენ რომელსაც დააპურებს.

ერთადერთია

ეს დაჭმუჭნილი
მინა ქართული
ქართველისათვის
ერთადერთია,

უსახელო და
უცნობ გმირების
ღვთით კურთხეული
საძვალეთია.

ეს მოჭიქული
ცა ვარსკვლავებით
ქართველისათვის
ერთადერთია,
ცა, სიშორეში
მიუნვდომელი...
იმაზე მაღლა
მხოლოდ ღმერთია.

მიწანდომ უწმინდესს

ღვთისმშობელმა ეს მინა
ღვთისგან ჩაიბარაო,
ცოდვა-მაღლი დღეს მისი
შენს მხრებზეა მამაო.

შენი ლოცვა-წამება
არ დაშვრება ამაოდ,
უფლისკენ რომ მიგვიძღვი
ჩვენო წმინდა მამაო.

ცოდვილს ყავხარ იმედად
ხსნისთვის შენსკენ მომავალს,
ღმერთი ისევ შენ განდობს
ივერიის მომავალს.

ღვთისმშობელმა ეს მინა
ღვთისგან ჩაიბარაო,
ცოდვა-მაღლი დღეს ჩვენი
შენს მხრებზეა მამაო.

*ამ ქვეყნად ჩვენი გზა
სავსეა ცოდვებით,
დავანთოთ სანთლები,
ვიცხოვროთ ლოცვებით.
უფლისკენ ჩვენი გზა
მძიმე და ძნელია,
მივენდოთ უწმინდესს
ის ჩვენი მხსნელია.*

ლაღატი

ეშმაკს მორჩილი იუდა
სულს უცვლის ფერს და იერსო,
სანამ ვერხლს დაინახავდა,
მზე იყო მისთვის იესო.

ძმობის ყანაში გაზრდილმა
ფიქრებმა სულში მდიესო,
შენ უკვე გახდი იუდა,
მე ვერ ვემსგავსე იესოს.

შენს ღამეს მთვარე ანათებს,
მზე დამედევნა მეცაო,
მთვარე ცივია, მზე – ცხელი,
ორივეს იტევს ზეცაო.

პატრიარქის მოსვლა

ეკლესიის ზარებმა
შენი მოსვლა გვახარა,
მამულმა შენს წინაშე
კრძალვით თავი დახარა.

ღვთისმშობელმა ეს მინა
მაღლით გადანამაო,
უფალმა კი მის მწყემსად
შენ მოგიხმო მამაო.

იღიმება ბუნება,
პირი გახსნა ცამაო,
როგორ გათეთრებულხარ
ჩვენი წმინდა მამაო.



მის უწმინდესობას რეზო სტურუამ თავისი ახალი წიგნი უფლის გზაზე გააცნო და რამდენიმე ლექსი წაუკითხა

ეკლესიის ზარებმა
შენი მოსვლა გვახარა,
მამულმა შენს წინაშე
კრძალვით თავი დახარა.

* * *

არა არის რა,
რაც დღეს არ ჩანს,
რომ არ გაცხადდეს,
დრო არ დამალავს,
გამოაჩენს
მას, რაც ბნელშია,
მას, რაც მზის სხივებს
უფლის შიშით
ემალება და
არაკაცობის
ამჟავებულ
ნაკეცებშია.

* * *

თუმც ძნელია
საკუთარი
შეცდომების
მივიად აცმა,

მათი მრუდე
გზის დანახვა
მაინც უნდა
შეძლის კაცმა.

სხვა რამეა
სინანული,
ძნელია ის
მართოს კაცმა,
რადგან იგი
ტკივილია,
რადგან იგი
არის ჯვარცმა.

კასი ბჭობდა...

უფალი ვნახე სიზმარში,
ავენტე ტერფით თავამდი,
მოვხსენი თავი ოცნებებს,
ზედმეტად გაფუთამამდი.

ჩემი გეგმები რომ ნახა,
შეუთამაშდა ჭალარა,
ბეჭებზე ხელი დამკრა და
მაგრად გადაიხარხარა.

ამაჰვილოზა

ბინდად მახსოვს,
რომ ვიყავი
თოლიების
თვლაში,
მამამ ხელში
აყვანილი
შემიყვანა
ზღვაში.

უცებ ავი
ტალღის პირთან
დაერჩით ერთი
ერთზე,

მოვეხვიე
მამას ყელზე,
მივეწებე
მკერდზე.

იდგა იგი
დევეგმირივით
მორკინალი
ზღვასთან,
ეს ამბავი
ბინდად მახსოვს
და არც მითქვამს
სხვასთან.

ახლა ვხედები,
როცა ვფიქრობ
მამის იმ დღის
ბედზე,
მას ტალღა ვერ
წააქცევდა...
მას მე ვყავდი
მკერდზე.

ქართლის სამეფო - კავკასიის კლიერი სსხელმწიფო

III საუკუნის ოციან წლებში ნახევრადდაშლილი პართიის სუსტი სამეფოს ნანგრევებზე ახალი, ძლიერი სახელმწიფო ჩამოყალიბდა. სპარსეთის ერთ-ერთი სამხრეთული პროვინციიდან, ფარსიდან, გამოსულმა სასანიანმა არდაშირმა 224 წ. სასტიკად დაამარცხა უკანასკნელი არშაკიანი მეფე არტაბან V და 226 წ. თავი მეფედ გამოაცხადა. სწორედ ის ითვლება ირანში სასანიანთა სამეფო დინასტიის დამფუძნებლად. მისმა ვაჟმა შაბურ I-მა (241-272წწ.) წარმატებული საგარეო ომები წამოიწყო. მან რამდენჯერმე გაილაშქრა რომაელებზე და სასტიკად დაამარცხა ისინი. მეტოქეებს შორის დავა მიმდინარეობდა შუამდინარეთისა და მთელი სამხრეთ კავკასიისთვის, რაც იმდროინდელი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო - საქარავნო გზების და შესაბამისი შემოსავლების დაუფლებას ისახავდა მიზნად.

253 წ. შაბურ I-მა სომხეთის ტახტზე, მოკლული მეფის, ხოსროს, ადგილზე, თავისი უფროსი ვაჟი ჰორმიზდ - არდაშირი დასვა. ამ დროს ქართლში მეფობდა ამაზასპი (230-265წწ.) „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, „ამაზასპი იყო კაცი ძლიერი და გოლიათი, მსგავსი ფარსმან ქველისა“. ქართლის მეფემ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას სწრაფად აუღო ალლო. მან თავისი და სომხეთის სასანიან მეფეს მიათხოვა და სპარსეთის უზენაესობა აღიარა. ამაზასპმა, როგორც სპარსეთის შაჰის ახლო ნათესავმა, სასანიანთა სამეფო კარზე ერთ-ერთი უმაღლესი ადგილი დაიკავა. ეს კარგად ჩანს 262 წ. შესრულებული სამეფოვანი წარწერიდან, რომელიც იმდროინდელი სპარსეთის მთავარი მაზდეანული ტაძრის, ზოროასტრის ქაბას, კედელზეა ამოკვეთილი. მასში ამაზასპი, ირანის შაჰის შაბურის შემდეგ არიან დასახელებულნი უფლისწულები, სასანიანთა სახელმწიფოს გავლენიანი საგვარეულოები და სამეფოს სხვა დიდმოხელენი. ეს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ქართლის მეფე იარაღის ძალით დამორჩილებული ქვეყნის მმართველი კი არა, სპარსეთის შაჰის გავლენიანი მოკავშირეა.



ამდენად, უნდა ითქვას, რომ ამაზასპის დროს ქართლის სამეფო, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ და ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. მას ხელენიფებოდა, წარმატებით გადაეჭრა საშინაო და საგარეო პრობლემები და ფხიზლად ეკონტროლებინა სახელმწიფო საზღვრები. ამ პერიოდში ქართლმა დაიბრუნა II ს. მეორე ნახევარში ალბანელთაგან მიტაცებული მიწები და აღმოსავლეთით ფარნავაზისდროინდელი ისტორიული საზღვარი აღადგინა. ყურადღება არც სახელმწიფო საზღვრის ჩრდილომონაკვეთს აკლდა. „ქართლის ცხოვრება“ ვრცლად მოგვითხრობს ქვეყანაში შემოჭრილ ალან-ოსებთან ამაზასპის ბრძოლის შესახებ. III ს. 40-იან წლებში დვალეთის გზით მალუ-

ლად გადმოსულ და მუხრანში დაბანაკებულ ალან-ოსებს მცხეთის ალება ჰქონდათ განზრახული. ქართლის მეფემ დედაქალაქი და ახლომახლო მდებარე ციხეები გაამაგრა, ცხენოსანთა რაზმების მოულოდნელი თავდასხმებით მტერს ჩანაფიქრის განხორციელების საშუალება არ მისცა, ხოლო ეგრისიდან და სომხეთიდან მოკავშირეთა ძალების შეერთების შემდეგ სასტიკად დაამარცხა მომხდურნი. ერთი წლის შემდეგ ამაზასპმა თავად ილაშქრა ჩრდილო კავკასიაში, ალან-ოსები კვლავ დაიმორჩილა და ჩრდილოეთის გადმოსასვლელებზე მტკიცე კონტროლი აღადგინა.

III ს. მიწურულს სპარსეთსა და რომს შორის დაპირისპირებაში ამ უკანასკნელმა იმარჯვა. 298 წ. ქ. ნიზიბინში დადებული ზავის პირობებით, რომაელებმა მიიღეს ხუთი სომხური პროვინცია (ე.წ. დამოუკიდებელი სატრაპიები) შუამდინარეთში, მდ. ტიგროსის სათავეებში და აღადგინეს რომის პროტექტორატი სომხეთსა და ქართლზე. იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) დახმარებით სომხეთში თრდატ III (298-330 წწ.) გამეფდა. ქართლის სამეფო ტახტზე რეგ „მართალის“ ვაჟი - მირიანი - იჯდა.

ამ პერიოდში სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა სახელმწიფოს ჩრდილო საზღვრების დაცვამ, რადგან ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთის სტეპური ზოლიდან ჰუნების სახით მრისხანე დამპყრობთა ახალი ტალღა გამოჩნდა. მეფე მირიანის თავგანწირული ბრძოლების შემდეგ მომთაბარეებმა ქვეყნის აოხრება ვერ შეძლეს. კავკასიონის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გადმოსასვლელები კვლავაც ქართლის სამეფოს ხელთ იყო.

განზრახვა, რომ მეზობელი ქართლისათვის მტკიცის მარჯვენა სანაპირო, ძველი ქართული პროვინცია გოგარენე წაერთმია, ვერც სომხეთის მეფე თრდატ მესამემ აისრულა. მირიან მეფეს პოლიტიკურმა ალლომ არ უმტყუნა, მან თავისი უმცროსი ვაჟი ბაკური რომის კეისარს გაუგზავნა, რითაც ამ უკანასკნელს თავისი ერთგულება აჩვენა. კეისარმა ქართლის მეფეს საქციელი დაუფასა. მისი ჩარევით მოქიშპე მხარე-

ბი დამოკვრდნენ: მირიანის უფროსი ვაჟი რევი თრდატის ასულ სალომეზე დაქორწინდა. მეზობლები დაზავდნენ, საზღვრად კვლავ ბამბაკ - ერევნის წყალგამყოფი ქედი დარჩა.

ასე შეხვდა ჩვენი წინაპარი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას, რამაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეთნიკურ განვითარებასა და იმ სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, რომელსაც საქართველო ჰქვია.

ზაზა აბაშიძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქართველები საბერძნეთში

დამსახურებული ჟურნალისტი, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ტელეკომუნიკაციების უზადლო მცოდნე, გამოჩენილი მეცნიერ-გამომგონებელი, ნოვატორი, საქართველოს ჟურნალისტიკაში შემოქმედებითი კავშირის წევრი, პრემიის ლაურეატი – სატელეკომუნიკაციო და ელექტრონული მედიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. ანდრე კარბელაშვილის სიცოცხლე და მოღვაწეობა ნათელი მაგალითია, თუ როგორ იცხოვრო ნებისმიერ ეპოქაში და შეინარჩუნო უფლის დიდი საჩუქარი – ადამიანური ღირსება. იგი ძმები კარბელაშვილების შთამომავალია (შვილიშვილი). 2012 წელს საქართველოს წმინდა სინოდმა სასულიერო პირები წმინდანებად შერაცხა. ბატონი ანდრე იყო ღირსეული მამულიშვილი, სამშობლოს, ოჯახის, მეგობრების მოყვარული და გულისხმიერი ადამიანი. მისი ცხოვრების კადრები არის ქართული კულტურისა და მენტალიტეტის ჭეშმარიტი მაგალითი. თუ კაცი ბუნებით კეთილშობილია, ყველა ეპოქის ქართველში ეროვნული ფასეულობების ერთგული რჩება. ასეთი იყო ანდრე კარბელაშვილი.



ანდრე კარბელაშვილი

საქართველოს ჟურნალისტიკაში შემოქმედებითი კავშირის წევრი ჰამლეტ გეგია

ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი – **ვინ იყვნენ შევარდნაძე და ციკლიძე?** მკითხველებს ვთხოვდით, მოგვანოდონ დამატებითი ცნობები 1897 წელს საბერძნეთ-თურქეთის ომში მოხალისეებად წასული ახალგაზრდების – შევარდნაძის და ციკლიძის (წითლიძის) შესახებ. და აი, დღეს ხელთ გვაქვს შევარდნაძის შვილის, ალექსანდრე ერემიას ძე შევარდნაძის 1961 წლის ჩანაწერები – თავისი მამის ნაამბობი... მოყვანილი კონკრეტული ფაქტები შევადარეთ იმდროინდელ ქართულ და რუსულ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს. ქართველების საბერძნეთში ყოფნის ამბავი კიდევ უფრო ნათელი გახდა...

მამ ასე, ვინ იყვნენ შევარდნაძე და ციკლიძე?

ე. შევარდნაძე, რომელსაც გაზეთი **ივერია** 1897 წლის 30 ივნისის ნომერში მოიხსენიებს, იყო ერემია კონსტანტინეს ძე შევარდნაძე, ხოლო ციკლიძე – ვარლამ ესეს ძე წითლიძე.

ერემია შევარდნაძე 1869 წელს დაიბადა ოზურგეთში (მხარაძე). დაამთავრა ორკლასიანი სასწავლებელი, შემდეგ სწავლა გააგრძელა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1897 წელს საბერძნეთ-თურქეთის ომი გამოცხადდა, ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს საბერძნეთში მოხალისეებად წასვლა, თუმცა მხოლოდ ე. შევარდნაძემ და მისმა მეგობარმა, ვ. წითლიძემ მოახერხეს, აიღეს ინგლისის ვიზა და გემით საბერძნეთის ქალაქ პირეიში ჩავიდნენ, ისინი ჩარიცხეს დონის კაზაკების რაზმში, სადაც სულ მოხალისეები მსახურობდნენ...

როგორც გაირკვა, ორმა ქართველმა მონაწილეობა მიიღო მნიშვნელოვან ბრძოლებში ქალაქ დამაკოსთან. ამ ბრძოლებში მათ რაზმთან ერთად, თურქების წინააღმდეგ იბრძოდნენ იტალიელები. ე. შევარდნაძე იხსენებდა,

– იტალიელ ახალგაზრდა მებრძოლებს წითელი ხავერდის ხალათები და ლურჯი ფერის ხავერდის შარვლები ეცვათ, საუკეთესო ცხენებზე იყვნენ ამხედრებული. დამაკოსთან გაჩაღებულ მძიმე ბრძოლებში იტალიელებს სათავეში ედგათ **რაჩიოტა გარიბალდი** – იტყობინება თბილისში გამომავალი **ნოვოე ობოზრენიე** (7 მაისის ნომერი). აი, გაზეთის მნიშვნელოვანი ცნობა – **გარიბალდმა თავის 17 წლის შვილს პორუჩიკის ჩინი მიაკუთვნა**. ვფიქრობთ, რაჩიოტას მამა იტალიელების სარდალი იყო (მაგრამ, არა ჯუზეპე გარიბალდი, რომელიც 1882 წელს გარდაიცვალა). შესაძლოა, რაჩიოტა ჯუზეპე გარიბალდის შვილიშვილია.

ქალაქ დამაკოსთან მძიმე ბრძოლებში დაიღუპა იტალიის პარლამენტის დეპუტატი ფრატუტი. რომში მის ნაცვლად დაასახელეს 17 წლის რაჩიოტა გარიბალდი. დიახ, ამ ლეგიონის გვერდით იბრძოდნენ ე. შევარდნაძე და ვ. წითლიძე.

დამაკოსთან ბრძოლებში დაეცა ვ. წითლიძე. მისი დაღუპვა ძლიერ განიცადა შორეულ საბერძნეთში მყოფმა მეგობარმა – **ერთად ჩავიდნენ და ერთად ვერ დაბრუნდებოდნენ საყვარელ საქართველოში...**

ე. შევარდნაძე დაიჭრა, იგი მეფის სასახლის მახლობლად, ათენის ჰოსპიტალში მოათავსეს. ჰოსპიტალს საბერძნეთის დედოფალი მფარველობდა. აქ გაიცნო მან ე. შევარდნაძე, როცა 1901 წელს დედოფალი ბათუმში ჩამოვიდა, მოიკითხა **ოზურგეთელი ყმანვილი...**

1897 წელს საბერძნეთ-თურქეთის ომი დამთავრდა. ე. შევარდნაძემ ამ ომში მონაწილეობისთვის მიიღო არაერთი სამახსოვრო ჯილდო, **მათ შორის ხმალი და ვერხლით მოჭედილი რევოლვერი სპილოს ძვლის ტარით. რევოლვერს ოქროს ასოებით ეწერა, – მფლობელს გადაეცა საბერძნეთის ომში დიდი დამსახურებისთვის!..** ქართველი მეომარი საბერძნეთში კიდევ შვიდი წელი დარჩა. იგი საბერძნეთის არმიის შტაბში პოდპოლკოვნიკის ჩინით მსახურობდა. საბერძნეთის დედოფალს ვერ შეხვედა.

როცა რუსეთ-იაპონიის ომი გამოცხადდა, ე. შევარდნაძეს საბერძნეთის მეფისთვის მიუმართავს, – ნება დაერთო, სამშობლოში დაბრუნებულიყო და რუსეთ-იაპონიის



ძმები კარბელაშვილები



ძმები კარბელაშვილების ხატი

ომში მიეღო მონაწილეობა, მან რატომღაც უარი მიიღო. შემდგომ თხოვნას უგზავნის დედოფალს, მისი თხოვნა დააკმაყოფილეს!..

რუსეთ-იაპონიის ფრონტზე მამაცურად იბრძოდა ე. შევარდნაძე. იგი გიორგის ჯვრის სრული კავალერი იყო. საქართველოში პოლკოვნიკის ჩინით დაბრუნდა, 1914 წელს გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლის დროს მიძიმედ დაიჭრა, ასე დასრულდა მისი სამხედრო სამსახური...

ერემია კონსტანტინეს ძე შევარდნაძე კარგად ფლობდა ბერძნულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს.

1897 წელს, როცა ე. შევარდნაძე და ვ. ნითლიძე საბერძნეთში მოხალისეებად წავიდნენ და ომში მონაწილეობდნენ, აქვე გამირულად იბრძოდა საქართველოდან ჩასული ჩვიდმეტი წლის ელენა კონსტანტინიდისი. ქართულ მინაზე აღზრდილი ქალიშვილი ბერძენებმა **ჟანა დარკად** აღიარეს. ათენის საზოგადოებამ გადაწყვიტა, მისი ძეგლი საბერძნეთში დაედგათ. საბერძნეთში ამ დროს საქართველოდან ჩასული იყო ათენის უნივერსიტეტის პროფესორი **ლაზარე კატანაშვილი (კოტანოვი)**. იგი ცნობილი ექიმი, საბერძნეთის მეფის პირადი მკურნალი და ქალაქ პირეოში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ჰოსპიტალის მთავარი ექიმი გახლდათ, იმ ქალაქის ჰოსპიტალის, სადაც ქართველი ვაჟკაცები პირველად ჩავიდნენ...

მამ ასე, იმ დროს საქართველოდან საბერძნეთში ჩასულ ოთხ პიროვნებას ვიცნობთ, – ერემია შევარდნაძეს, ვარლამ ნითლიძეს, ელენა კონსტანტინიდისს და ლაზარე კატანაშვილს.

ანდრე კარბელაშვილი

ბერძენი ჟანა დარკი საქართველოდან

საქართველოს ისტორიის ფურცლები აღსავსეა სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანების სახელებით. ქართველი ერი პატივს მიაგებდა ვაჟკაც და შეუდრეკელ პიროვნებებს, ისინი ყოველთვის მზად იყვნენ, თავი გაეწირათ მშობლიური მიწის თავისუფლებისათვის. ქართველები პატივისცემით იხსენებდნენ უცხოელი ქვეყნის პატრიოტებს. ამიტომ, ქართული გაზეთები, მათ შორის ილიასეული **ივერია** ხშირად წერდნენ მსოფლიოს გამოჩენილ გმირებზე და ხოტბას ასხამდნენ მათ...

1897 წლის 2 მაისს ნომერში გაზეთი **ივერია** წერდა, – საბერძნეთის მთავრობამ უკანასკნელი 25 000 ჯარისკაციც მოიწვია, ასევე 2000 მოხალისით ცალკე რაზმი შეადგინა. მთავრობამ ეს რაზმი ეპირში უნდა გაგზავნოს. რაზმს უფროსობს პოლკოვნიკი **ბაცარისი**. მეზობლებს წინ მიუძღვის **ახალგაზრდა ქალიშვილი – ბერძენის ჟანა დარკი.**

– **ბერძენის ჟანა დარკი?!** – იკითხავს მკითხველი.

დიახ, ეს ბერძენი ქალიშვილი მონაწილეობდა 1897 წლის საბერძნეთ-თურქეთის ომში. სწორედ მან გაახსენა ბერძენებს **ნამდვილი ჟანა დარკი**. როგორც ცნობილია, ჟანა დარკი საფრანგეთის სახალხო გმირია. ის ფრანგი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში ინგლისელების წინააღმდეგ ასწლიან ომში (1337-1453 წწ.) იბრძოდა. ჟანა დარკი 1429 წლის თებერვალში სათავეში ჩაუდგა საფრანგეთის ჯარს და მამაცობის იშვიათი მაგალითი აჩვენა. შემდეგ, გმირი ქალი ტყვედ ჩაუვარდა ინგლისელების მოკავშირეებს – ბურგუნდებს, იგი ინგლისელებს მიჰყიდეს, – **საეკლესიო სამღვდელოებამ ბრალად დასდო ჯადოქრობა და კოცონზე დანჯეს!..**

მარტო **ივერიამ** როდი მოიხსენია თავის ფურცლებზე

ბერძენი ჟანა დარკი. აი, რას წერდა თბილისში გამომავალი რუსული გაზეთი **ნოვოე ობოზრენია** (1897 წლის 1 მაისი) – 1700 მეომარი ათენიდან ღამით ეპირში გაემგზავრა, რაზმს ზღვა ხალხი აცილებდა, მეზობლებს სათავეში ედგა გამორჩეულად ლამაზი ქალი. იგი წინ მიდიოდა და თავისი სამშობლოს დროშას მიაფრიალებდა...

1897 წლის პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული ყოველკვირეული ილუსტრირებული გაზეთი **კვალი** აქვეყნებდა პუბლიკაციას **სამშობლოსთვის თავგანწირული ქალი**, – ელენა კონსტანტინიდისი არის ჩვიდმეტი წლის ბერძენი მეომარი, თაოსნობს 3000 თავგანწირულ ბერძენს. ელენა თბილისელი ბერძენი კბილის ექიმის ასულია, ოჯახი ბათუმში გადადის და სამშობლოში გასამგზავრებლად ემზადება. ამიტომ, ქალიშვილი ბათუმში სწავლობს სამხედრო იარაღის ხმარებას, რევოლვერს ჩინებულად ისვრის, კაცურად არის მორთული, ქუდზე საბერძნეთის ნიშანი აქვს, ხელში დროშა უჭირავს, ცხენზე ზის და მუდამ წინ მიუძღვის თავისუფალ მეზობლებს.

ელენა კონსტანტინიდისის შესახებ გაზეთ **ცნობის ფურცელში** ვკითხულობთ, – ჯარის წინამძღოლი ქალი საბერძნეთის დასახმარებლად 3000 მხედრით არის შესული, ეს ახალგაზრდა ჩვიდმეტი წლის ელენა კონსტანტინიდისია – მშვენიერი სილამაზის ქალიშვილი, რომელსაც მამაკაცის ტანისამოსი აცვია, ტყვია-ნამლის აბრა ჰკიდია და შავ სამხედრო ქუდზე კაკარდა აკრავს. თოფის სროლა და იარაღის ხმარება კარგად იცის, ბათუმში ყოფნის დროს ისწავლა.

დიახ, ელენა კონსტანტინიდისი საქართველოდან მშობლიური მხარის დასაცავად საბერძნეთში გაემგზავრა!..

ცნობის ფურცელი იტყობინებოდა, – ელენას მამა თურმე, ერთ დროს ტფილისში კბილის ექიმი იყო. ახალგაზრდა ქალიშვილი თამამად მიუძღვის ჯარს და საბერძნეთის დროშას აფრიალებს. ათენში მას აღფრთოვანებული ვერი შეეგება და გმირ ქალს **ჟანა დარკი** უწოდა. ბათუმიდან ელენას მსგავსად, სამშობლოში არაერთი ბერძენი ვაჟკაცი გაემგზავრა. 1897 წლის 7 მარტს გაზეთი **ივერია** წერდა, – ბათუმი, 3 მარტი, ნაშუადღევს ორ საათზე ბათუმიდან გავიდა საფრანგეთის ცეცხლის გემი **სიდონი**, საფრანგეთში წავიდნენ ბერძენი ჯარისკაცები. გემის ბაქანი ახალგაზრდა ბერძნებით იყო სასვე, გალობდნენ საგმირო ლექსებს – **ვაშას** და **გაუმარჯოს საბერძნეთს**. შეძახილებს დასასრული არ ჰქონდა, ხალხი აღელვებული იყო, პატივისცემის ნიშნად, იტალიისა და სხვა გემებზე მწვანე ბაირაღები აღმართეს და ზარბაზანები დაცალეს... ბათუმის პოლიციისტიერი და გუბერნატორის თანაშემწე გემზე ავიდნენ, მეომრებს გზა დაულოცეს და გამარჯვება უსურვეს. ცეცხლის გემს, რამდენიმე ვერსის მანძილზე, აურაცხელი ხალხი გაჰყვა.

გაზეთი **ივერიის** გარდა, მსგავსი შინაარსის ინფორმაცია გამოაქვეყნა გაზეთმა **კვალმა** (1897, №11, გვ.220). როგორც ჩანს, ქართველი ხალხი ბერძნებს სამშობლოსთვის ბრძოლაში თანაუგრძობდა. ამიტომ, გააცილეს ისინი გულთბილად... რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან მოხალისეებიც მიდიოდნენ საბერძნეთში. გაზეთ **ივერიაში** დაიბეჭდა (1897 წლის 1 მაისი) – ათინა 28 აპრილს რუსეთის სანაოსნო საზოგადოების – **დედოფალ ოლგად** წოდებული გემით, მოსკოვიდან მოვიდა თორმეტი და ხუთი ექიმი, თან სამოცი ყუთით მოიტანეს ნამლები და დაჭრილების სამკურნალო პრეპარატები.

ისევ, ბერძენ ჟანა დარკს – ელენა კონსტანტინიდის მიუზღვრუნდეთ... გაზეთ **ივერიაში** მის შესახებ გამოქვეყნდა კიდევ ერთი ინფორმაცია, – ელენა ტბილისში ცხოვრობდა და აქედან თავის ძმასთან ერთად წასულა საბერძნეთში. მისი მამაც ტბილისში ცხოვრობდა, კბილის ექიმი იყო, 1868 წელს კრიტიკების აჯანყებაში მონაწილეობდა, სამაგალითო სიმამაცეც გამოიჩინა. ელენას მეორე ძმა ამჟამად ტფილისშია და ალექსანდრეს სახელზე დაწესებულ სამასწავლებლო ინსტიტუტში სწავლობს. ელენას ბიძა პოლკოვნიკ ვასოსთან ერთად იყო კრიტში, ახლა კი საბერძნეთის მხედრობის მთავარი შტაბის უფროსია. გაზეთებში მოყვანილი ინფორმაციიდან ცნობილი ხდება, – ბერძენი **ჟანა დარკი** მონაწილეობდა ქალაქ ეპირის გათავისუფლებაში. გაზეთი **კავკაზი** 21 აპრილს იტყობინებოდა, – ბერძენთა ჯარი უკან იხევს ქალაქ ეპირიდან, ხოლო 23 აპრილს გაზეთი იუწყებოდა, ამ ქალაქის თანადათან დაცლის შესახებ. იგივე **კავკაზი** 2 მაისის ნომერი – ეპირში სამხედრო მოქმედება დასრულდა. როგორც ჩანს, ბერძნების ნაწილმა ქალაქი მონაწილეობა დაუთმეს.

სწორედ ამ ქალაქის განთავისუფლებისთვის ბერძენთა მოხალისე რაზმს წინ გაუძღვა ელენა კონსტანტინიდისი. გაზეთი **კავკაზი** 4 მაისს წერდა, – ბერძენთა და თურქეთის ჯარების სარდლები ეპირში დაზავდნენ. საინტერესოა ბერძენი **ჟანა დარკის** როლი ქალაქის განთავისუფლებისთვის ბრძოლაში.

საქართველოდან თავისი სამშობლოს დასაცავად საბერძნეთში მყოფ ელენა კონსტანტინიდისზე საინტერესო ინფორმაცია გამოაქვეყნა ილუსტრირებულმა ჟურნალმა **ნოვიმ**, რომელიც პეტერბურგში გამოდიოდა. ჟურნალში დაბეჭდილი იყო სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი, დროშით ხელში, მხრებზე თმაგაშლილი ელენას ფოტოსურათი და ინფორმაცია, – საბერძნეთის საზოგადოებამ სა-

ბერძნეთ-თურქეთის ომის დასრულების შემდეგ დასვა საკითხი, – ბერძენი **ჟანა დარკისთვის** ათენში აეგოთ ძეგლი, იმ გმირობის აღსანიშნავად, რაც ბრძოლაში გამოიჩინა...

ღიას, საქართველოდან საბერძნეთში ჩასული ქალიშვილი გმირად აღიარეს!

გაზეთ **ცნობის ფურცელში** მოყვანილია ცნობა, საბერძნეთში მოხალისედ გაემგზავრა ორი ქართველი – **ე.შვეარდნაძე** და **ვ. ნითლიძე**.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს ორი ქართველი საბერძნეთ-თურქეთის ომის დროს საბერძნეთის დედოფალმა გაიცნო. მეფის სასახლიდან თხუთმეტი წუთის სავალზე განთავსებულ ჰოსპიტალს ის ხშირად სტუმრობდა. აქ ორი რუსი ექიმი და ოცი მოწყალეების და მსახურობდა. გაზეთი **კავკაზი** აღნიშნავდა, – მისი უდიდებულესობა ელიონების დედოფალი ხშირად მიდიოდა ჰოსპიტალში და ტკბილად ესაუბრებოდა დაჭრილებს.

ოთხი წლის შემდეგ, 1901 წლის 25 აგვისტოს საბერძნეთის დედოფალი თავის ორ ვაჟიშვილთან ერთად სამხედრო გემით **პრუტი** ბათუმში ჩადის. გაზეთი **ცნობის ფურცელი** (1901, №1565) აღწერდა ნავსადგურში სტუმრების დახვედრის ცერემონიას, – ცოტა ხნის შემდეგ გემიდან გადმობრძანდა საბერძნეთის დედოფალი, ბაქანზე იყვნენ აქაური ბერძნები, ორმა ქალიშვილმა დედოფალს მშვენიერი თაიგულები მიართვა. ხალხი გარს შემოეხვია სტუმრებს. საბერძნეთის დედოფალმა მოიკითხა მეფილუგე ბერძენი, გვარად ელიოპული და ორი გურული ყმანვილი ოზურგეთის მაზრიდან, რომლებიც საბერძნეთ-ოსმალეთის ბოლო ომში მონაწილეობდნენ. მეფილუგე ელიოპული ბათუმელი ბერძენია, ომში მძიმედ დაიჭრა, გმირი მეომარი ჰოსპიტალში დედოფლის მზრუნველობის ქვეშ იყო. როდესაც გამოჯანმრთელდა, ბათუმში წავიდა, დედოფალმა თავისი ხარჯით მშვენიერი ფილუგა უყიდა და გაუწყო. ვფიქრობთ, სწორედ ათენის სამხედრო ჰოსპიტალში ყოფნის დროს გაიცნო დედოფალმა ბათუმელი ელიოპული.

– გურული ყმანვილები? – იკითხავს მკითხველი.

ალბათ ისინიც, ღიას, ორი ქართველიც მოიკითხა ბათუმში ჩასულმა ბერძენმა სტუმარმა. **ცნობის ფურცელი** იუწყებოდა, – დედოფალს ეწყინა თავისი ძმები რომ ვერ მოინახულა...

ვფიქრობთ, ეს ორი ქართველი (გურული) სწორედ შევარდნაძე და ნითლიძე იყვნენ, – 1897 წლის **ცნობის ფურცელი** იტყობინებოდა, – ისინი საბერძნეთ-თურქეთის ომში წავიდნენ მოხალისეებად. ასე რომ, საქართველოში ჩამოსული საბერძნეთის დედოფალი პირადად იცნობდა გმირ მეომარ ელიოპულს და ორ ქართველ მებრძოლს. თურმე ქართველებსაც გაუწია გულმა განსაცდელში მყოფი ბერძნების დახმარება. კეთილშობილური საქციელით კი, ბერძნების პატივისცემა დაიმსახურეს. ვინ იცის, შორეულ საბერძნეთში კიდევ რამდენი გმირობა ჩაიდინეს, სადაც დიდ რაზმს საქართველოდან ჩასული **ჟანა დარკი** – ელენა კონსტანტინიდისი ჩაუდგა სათავეში.

დადგეს თუ არა საბერძნეთში ელენას ძეგლი? როგორ არის აღწერილი მისი მონაწილეობა საბერძნეთის სამხედრო ისტორიაში? არის თუ არა შექმნილი მის შესახებ მხატვრული ფილმი? რას წერდნენ იმდროინდელი საბერძნეთის გაზეთები ელენაზე? მოხსენიებულია თუ არა მის ბიოგრაფიაში საქართველოში ყოფნის ამბავი? – ყოველივე ეს უთუოდ შეავსებდა იმდროინდელ ქართულ პრესას და სრულად წარმოგვიდგენდა ჟანა დარკის სახეს, ბუნებას და სამშობლოსადმი დიდ სიყვარულს...

ანდრე კარბელაშვილი

გრიგოლ გურიელი და ძველი ქართული ხელნაწერები

XIX საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილ ქართველ სამხედრო და საზოგადო მოღვაწეთა შორის საპატიო ადგილზეა გენერალი გრიგოლ გურიელი, რომელმაც მამულიშვილური საქმეებით ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს ისტორიაში – დიდი წილი შეიტანა ზემო აჭარის, ქობულეთისა და ბათუმის დედამამშობლოსთან შემოერთებაში. გ. ყაზბეგთან და მ. მეფისაშვილთან ერთად ამ მხარეში იმოგზაურა. მოგზაურობას დიდი სამხედრო დაზვერვითი და სამეცნიერო მნიშვნელობა ჰქონდა. გრიგოლ გურიელი იყო რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე, საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი...



გრიგოლ გურიელი

კათალიკოსისა, კვინტოს კუციოს საქმეთათვის ალექსანდრე დიდის მაკედონელისა (გადანერილი 1811 წელს), კარაბადინი ანუ საეიქიმო ნიგნი, ვახტანგ მეფის სჯულის კანონი, მეტაფორასი და მამათა ცხოვრება, – წერდა გაზეთი *ივერია*.

1890 წლის სექტემბერში გრიგოლ გურიელი ექვთიმე თაყაიშვილისადმი გაგზავნილ წერილში წერდა ... *გიგზავნით ოთხს ძველს ხელნაწერს საეკლესიო ნიგნებს, დიდის მეცადინეობით შევიძინე სხვადასხვა კერძო პირებისაგან, კიდევ ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი შევიძინო და გაახლოთ, რათა ჩვენს მომავალს არ დაეკარგოს ესრეთი ძვირფასნი ძველნი ძველის მწერლობისა და მხატვრობის ხელოვნებისა...*

გრიგოლ გურიელმა, ქართველთა შორის პირველმა, 1886 წელს გამოსცა მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილი ინდურ იგავ-არაკათა კრებული, ვახტანგ VI-ის *ქილილა და დამანა*, ნიგნის დაბეჭდვა 1000 მანეთი. ხოლო გაყიდვებით შემოსული თანხა 3000 მანეთი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა.

1890 წელს გაზეთი *ივერია* წერდა, – თავად გრიგოლ გურიელს ნიგნის დაბეჭდვა განუზრახავს, რომელსაც ეწოდება – *ნიგნი ეკლესიასტე, მეფე სოლომონ ბრძენისა*. ეს ნიგნი და პირველი გამოცემა *სიბრძნე სოლომონ მეფისა* ფონდად დაიდო. ასე რომ, 3200 ნიგნიდან რაც ფული შემოვა, ისევ საღმრთო წერილის ნიგნების გამოცემას უნდა მოხმარდეს. ეს მეორე ნიგნიც ნახევარი უკვე დაუბეჭდავს აქაურ მესტამბეებს.

ცოტა უფრო ადრე, 1890 წლის 4 სექტემბერს გაზეთი *ივერია* გრიგოლ გურიელის ოჯახში დაცული ხელნაწერების შესახებ წერდა, – თავად გურიელის სახლში ჩვენ ვნახეთ სამი უძველესი ხელნაწერი ნიგნი, მათ შორის ეთიკა, თეოლოგია, თარგმნილი წმინდა მამისა ექვთიმისა, ხელნაწერი 15 ფურცელია, დაწერილია ლამაზი ნუსხური ხელით დიაკონ პორფირის მიერ 1794 წელს, მეორე ნიგნი – ნიგნი სიბრძნისა ისო ზირაქისა ხუცურ-ნუსხურად დაწერილი; მესამე უფრო შესანიშნავი და დიდის ხელოვნებითაა არის ნაწერი, შიგ ნახატებია ჩართული, მშვენივრად დასურათებული, გადწერილია 1793 წელს. პატივცემული თავადი დიდი გულმოდგინებით აგროვებდა გურიაში ხელნაწერებსა და საინტერესო ნივთებს, სურდა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გადაეცა.

1890 წლის 4 სექტემბერს გრიგოლ გურიელის მიერ ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიწერილ წერილში ნათქვამია, – *ქხლა დავინახე გურიაში ბევრი ყოფილა სხვადასხვა შესანიშნავი ძველი ხელნაწერი, როგორც საეკლესიო, ისრე საეროც, მაგრამ ჩვენში ბეჭდვის შემოღების შემდეგ, ხელნაწერთა ნიგნებთა პატივი სრულად დაჰკარგვიათ და მრავალი მათგანი მოსპობილა, რადგან სახვევი ქალაქის ადგილზე უხმარიათ...*

ჯერ კიდევ 1989 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა ხუცური ხელნაწერი ნიგნები, – სხვადასხვა დღეს საკითხავი ტექსტები, მარხვანი და ტიპიკონი, ჟამნი ყოველთა მეტყველთა, აღდგომის წირვის წესი, მარხვანი და სადღესასწაულო ჟამნი, სხვადასხვა ლოცვანი და სჯულკანონები იოანესი, მატრიკა ანტონ

1891 წლის 23 აპრილს გაზეთი *ივერია* იტყობინებოდა, – წერა-კითხვის საზოგადოებაში ექვთიმე თაყაიშვილმა გრიგოლ გურიელისაგან ოთხი ხელნაწერის გარდა, მიიღო კიდევ ერთ ეტრატზე დაწერილი ნიგნი: ეს იყო მარხვანი კარგი სურათებით გაფორმებული, საუკეთესოდ ნაწერი 296 ფურცელზე. იგი გადწერილი იყო 1791 წელს გიორგი კობახიძის მიერ. ვახტანგ გურიელის მითითებით *ივერია* წერს აგრეთვე რბილ ეტრატზე, ნუსხა მხედრულით შესრულებულ სახარებაზე (292 გვერდი). ექვთიმე თაყაიშვილი მას XIV-XV საუკუნეებს მიაკუთვნებს. ეთიკა-თეოლოგიაზე, რომელიც გადწერილია 1794 წელს იეროდიაკონის პორფირის მიერ (გაბრიელის თაოსნობით) და მოიცავდა 148 ფურცელს, ზირაქის ნიგნს და ნიგნს ეკლესიასტეს, რომელიც ხუცურით 176 ფურცელზე იყო შესრულებული; ასევე იქ იყო XVII-XVIII საუკუნეების ჟამნი-გულანი, ხუცურად დაწერილი 295 ფურცელზე. აი, ეს ნიგნი გაუგზავნა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გრიგოლ გურიელმა.

– *არ გაივლის ისე წელიწადი, რომ თავადმა გურიელმა არ შესწიროს ჩვენი საზოგადოების ნიგნთსაცავს რამდენიმე ძველი ნიგნი, ფული, თუ ნივთი. მისი სხვადასხვა დროს შეწირული ნიგნები თითქმის ერთ პატარა ბიბლიოთეკას შეადგენს და გარდა სამეგრელოს თავადის (იგულისხმება ნიკო დავითის ძე დადიანი) და ალ. მესხიშვილის შემოწირულობისა. მის შემოწირულობებს ვერც ერთი შეედრება... გრიგოლ გურიელი არ ჰზოგავს არც ხარჯებს და არც შრომას, რომ მოიპოვოს ხელნაწერები და შესწიროს ჩვენს საზოგადოებას – წერდა ექვთიმე თაყაიშვილი.*

1891 წლის სექტემბერში გაზეთ *ივერიაში* ექვთიმე თაყაიშვილი კვლავ აღნიშნავდა, რომ გრიგოლ გურიელისაგან ისევ მიიღო ხელნაწერი ნიგნები და ნივთები. ესენი იყო მეტაფრაზები, თარგმანი სახარებისა, ნაწყვეტი პრაკლიტონის, კინკლოსი ჟამნიდან ამოღებული, ამბავი როსტომისა და ზურაბისა, ზმნები თქმული გიორგი თავდგირიძის მიერ, სიგელ-გუჯრები XVIII-XIX საუკუნეებისა, კონდაკი, დაბეჭდილი 1783 წელს, ძველი ფულები სხვადასხვა დროისა და ხალხების.

ხელნაწერები ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ

ლი საზოგადოების ფონდში ინახება.

მსურს, პუბლიკაცია დავასრულო თავადი გრიგოლ გურიელისადმი სამადლობელი მიმართვით, – თქვენ, თვალსაჩინოდ დაუმტკიცეთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უდიდესი თანადგომა... საზოგადოებას საშუალება მიეცით, რომ ბეჭდოს ძველი ნაშთი მამა-პაპათა გონების ნანარმოებისა და გამოვიყენოთ ქართველთა საზოგადოების გონების განვითარებისათვის. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის სურვილია, ამგვარი თანამგრძობნი არ დაივიწყოს და სიამოვნებით იგონებდეს, როგორც საზოგადოებრივ ქველმოქმედებას!..

ასეთი წერილით მიმართა გრიგოლ გურიელს 1887

წლის 2 თებერვალს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ, რომლის თავმჯდომარე დიდი ილია ჭავჭავაძე იყო. საზოგადოება 1878 წლის 15 მაისს დაარსდა, ხოლო მისი მედროშენი იყვნენ, – დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, გიორგი ყაზბეგი... იმ დროს საზოგადოება ვერ იარსებობდა, გვერდით რომ არ ჰყოლოდა ერთგული თანამდგომნი, სიძველეთა დიდი ქომანგი და გულუხვი ქველმოქმედნი. მათ შორის გამორჩეული პიროვნება გახლდათ გრიგოლ დავითის ძე გურიელი. ამიტომ, 1886 წელს ის ერთხმად აირჩიეს ამ საზოგადოების საპატიო წევრად.

ლევან ძნელაძე

გურიის თაქალთა ლა ეზნაქინთა მოჯახუბი

აბულაქეპი

41. პრაპორშჩიკი ზაალ ივანეს ძე

მეუღლე მისი დარეჯანი

მათი ვაჟიშვილები: ალმასხანი, ანტონი, გიორგი

ქალიშვილები: მასულა, მანიჟა, ელისაბედი, ჩაფო, ებისტონა

ანთაქეპი

42. ქაიხოსრო პაატას ძე

43. ბეჟუკა ხოსიას ძე

მეუღლე მისი მაკა

44. მერაბ გიორგის ძე

მისი ძმები: იოსები, დავითი

დები: ჯუფანა, ვარდო

იოსების მეუღლე თათია

მათი ქალიშვილები: მართა, ეფროსინე

45. გრიგოლ ბესარიონის ძე

მეუღლე მისი ნინო

მათი ვაჟიშვილები: ოქროპირი, ალექსი, ამბაკო, ბესარიონი, ტარიელი

ქალიშვილი: ირინე

46. სიკო ეგნატეს ძე

მისი ძმები: ანდრია, ეფრემი

დედა გულქანი

47. ზურაბ მამუკას ძე

48. გიორგი ვახტანგის ძე

მისი ძმები: დიმიტრი, ნიკოლოზი

მათი დები: ეკა, სალომე, ალათი, დედა ნინო

49. მღვდელი ნიკოლოზ რამაზის ძე

მეუღლე მისი ანუსია

მათი ქალიშვილები: ევდოკია, ნატალია

50. მღვდელი დავითი

51. ივანე ქაიხოსროს ძე

მისი მეუღლე ელისაბედი

მათი ვაჟი პორფილე

ასათიანები

52. ქაიხოსრო ივანეს ძე

მეუღლე მისი რუსუდანი

მათი ვაჟიშვილები: ალექსანდრე, ბეჟანი, დავითი, კაცია, სოლომონი

მათი ქალიშვილები: ხვარამზე, მასულა, ელისაბედი, ბარბალე, ფატმანი

ალექსანდრეს მეუღლე მანიჟა

მათი ქალიშვილები: გოჯასპირა, მაკა, სოფიო, თუთა

ბეჟანის მეუღლე ანასტასია

მათი ვაჟიშვილი ივანე. ქალიშვილი ეკა

53. ზაალ ენუქის ძე

მეუღლე მისი ეფემია

მათი ქალიშვილები: ატატო, მატა

ზაალის ძმა საყვარელი

54. გიორგი დავითის ძე

მეუღლე მისი მართა

მათი ვაჟიშვილები: დავითი, კონსტანტინე, სიმონი

ქალიშვილი ეკა

55. ივანე დავითის ძე

მეუღლე მისი მართა

მათი ვაჟიშვილი ქიონი

56. გიორგი ბეჟანის ძე

მისი ძმა ალექსი, დედა მარინა

57. გუბერნიის მდივანი ივანე ივანეს ძე

მისი ვაჟიშვილი იოსები, ქალიშვილი სარა

ბერიძეები

58. იესე ივანეს ძე

მისი ვაჟიშვილები: მაქსიმე, ბეკო

ქალიშვილი ანუსია

ბაბუურიშვილები

59. გურგენ გიორგის ძის ქვრივი ეკატერინე

მისი ვაჟიშვილები: გიორგი, ბეზური, ეტლია

ქალიშვილები: ატატო, მაკა

ბოლქვაძეები

60. შავარდენ ივანეს ძე

მეუღლე მისი რუსუდანი

მათი ვაჟიშვილი ქაიხოსრო

ქალიშვილები: ეფემია, რუსუდანი, დოდო, გვიტამა, სიდიკო

61. სარიდან ტატუს ძე

მეუღლე მისი კესარია

მათი ქალიშვილი ტერეზია

სარიდანის ძმა ივანე

62. გაბრიელ როსტომის ძე

მეუღლე მისი სოფიო

გაბრიელის ძმები: სიმონი, ხოსანი, მასიკო

63. ივანე ბეჟანის ძე

მეუღლე მისი ჯულფანა

მათი ვაჟიშვილები: ბეჟანი, ყარამანი
ქალიშვილები: ფოტინე, ელისაბედი, მართა, პელაგია,
ეთერი

64. მიზარბეგ ბეჟანის ძე

მეუღლე მისი ფეფინა
მათი ვაჟიშვილი კონსტანტინე

65. ბერიკა გიორგის ძე

66. ერდიშელ ხოსიას ძე

მისი ძმა ზაალი

67. დავით პეტრეს ძე

მეუღლე მისი ანა
მათი ვაჟიშვილები: ბესო, პეტრე, გოგია. მაქსიმე

68. ბეჟან სიმონის ძე

მეუღლე მისი ანა
მათი ვაჟიშვილები: მაქსიმე, სპირიდონი, ყარამანი,
სიმონი

ბეჟანის ძმები: როსტომი, მაქსიმე, ოფონა

ბაზიქაეზი

69. მაიორი იაგორ დავითის ძე

მეუღლე მისი ანა
მათი ვაჟიშვილები: ალექსანდრე, ივანე, მიხეილი
ქალიშვილები: სოფიო, ეკატერინე, ელენე

ბოთუაზი

70. პოდპორუჩიკი გიტო ივანეს ძე

მეუღლე მისი ეკა
მათი ვაჟიშვილი მიხეილი
ქალიშვილი ანასტასია
ვახუშტის ქვრივი ელისაბედი
მისი ვაჟიშვილები: ნიკიფორე, სიმონი, სერგი
ქალიშვილები: სოფიო, ალათი

ბიზინეიშვილები

71. ნანიკო სიმონის ძე

მეუღლე მისი კესარია
მათი ვაჟიშვილი სიმონი
ქალიშვილები: პუპი, ხატუ

72. გრიგოლ ხუტუს ძე

მეუღლე მისი მაკა
მათი ვაჟიშვილები: ჩითანი, ამბაკო, ხუტუ, კალენდუხი
ქალიშვილები: ნინო, ფოტინე

73. ხოსიკა ხუტუს ძე

მეუღლე მისი ბარბალე
მათი ვაჟიშვილები: ელიოზი, გიორგი
ქალიშვილები: დადორა, პელაგია, დესპინე

74. საყვა ხუტუს ძე

მეუღლე მისი ალათი
მათი ქალიშვილები: მარინე, ეფემია

75. გიორგი ხოსიას ძე

მეუღლე მისი ალათი
მათი ვაჟიშვილი ხოსია, ქალიშვილი ნინო
გიორგის ბიძაშვილი სიკო ლევანის ძე

76. იესე ბეჟანის ძე

მეუღლე მისი დუნიადარა
მათი ვაჟიშვილები: დათა, ალექსი
ქალიშვილები: ხანუმზე, ელისაბედი

77. ბეჟან ქაიხოსროს ძე

მეუღლე მისი ელისანა
მათი ვაჟიშვილი მამუკა
ქალიშვილი მევარქალი

ბეჟანის ძმები: შამანდილი, ტატოლია, ტარიელი

78. გიორგი ივანეს ძე

მისი ვაჟიშვილები: სიმონი, ნანიკა, ბეჟუკა, ელიშუხი,
მარუჩელი

ქალიშვილები: ეფემია, მარკა
სიმონის მეუღლე მანგიჯასპა

მათი ვაჟიშვილები: ბეკო, სეფე, გიორგი
ქალიშვილი ვალია

ბოზიპარიძეები

79. ბეჟან გიორგის ძე

მეუღლე მისი მზისადარი
მათი ვაჟიშვილები: ადალო, დავითი, ქერაბინი
ქალიშვილი ფეფინა

80. ალექსანდრე იესეს ძე

მეუღლე მისი მზესხა
მათი შვილი იასე

81. გიტო პაატას ძე

მეუღლე მისი მელანია
ქალიშვილები: ფედოსია, კესარია
გიტოს ძმები: ტაია, იულონი

82. ზურაბ ხოსიას ძე

მეუღლე მისი ელისაბედი
მათი ვაჟიშვილები: ომეხი, დუტუ

83. ივანე ივანეს ძე

მეუღლე მისი რუსუდანი
მათი ვაჟიშვილები: ალმასხანი, მასიკო
ქალიშვილები: ანუსია, ფოტინე

84. ბეჟან გოგიტას ძე

მეუღლე მისი მანგიჯასპა
მათი ვაჟიშვილები: გრიგოლი, ივანე, იორდანე, მოსე
ქალიშვილები: კატო, სიოდა, მზისადარი

85. მერაბ შოშიტას ძე

მეუღლე მისი მაკა
მათი ვაჟიშვილები: მევარკაცი, მაქსიმე, ქიშვარდი
ქალიშვილები: ნინო, ბარბალე

86. საყვარელ შოშიტას ძე

მეუღლე მისი ზეგულა

87. ლევან შოშიტას ძე

მეუღლე მისი თამარი
მათი ვაჟიშვილები: სოლომონი, გლახუნა
ქალიშვილი ირინე

88. ტატულა ოთარის ძე

მეუღლე მისი ანა
მათი ვაჟიშვილები: მაქსიმე, ამბაკო, მალაქია
ქალიშვილები: ელისაბედი, მარიამი
გოგიას ძმები: ბერი, გენა, ქაიხოსრო
ბერის მეუღლე ნინო

მათი ვაჟიშვილი დარისპანი

ქალიშვილი მართა

გენას მეუღლე ბარბალე

მათი ქალიშვილი ესმა

ქაიხოსროს მეუღლე ელისაბედი

მათი ვაჟიშვილი არჯევანი

90. ზავარ ბეჟანის ძე

91. კაპიტან ივანე გაბრიელის ძის ქვრივი ქრისტინე

მისი ვაჟიშვილი ნესტორი

92. ავგუსტინე ელიზბარის ძე

მისი ძმა ყაფლანი, დედა ხანუმა

ქველი ჩხატარაიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ზურაბ ჭუმბურიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

...შურსა და ცილზე ამაღლებული...

ჩვენი ისტორიის დიდგორი

„ერის ისტორიაში არის ბრძოლა, რომელიც ყოველად აუცილებელ ქვაკუთხედად დგას შემდგომი არსებობისა და განვითარების წილში“.

ლევან გოთუა

საქართველოს მრავალ გორას შორის არის ერთი, უპირველესი, თავისი ისტორიული მნიშვნელობით. არა, იგი არც ლაშარის გორია, არც სპათაგორი, არც ლომისა თუ მთან-მინდა... მე დიდგორს ვგულისხმობ.

იგი საქართველოს ძველი ძველამოსილების სახედ და სიმბოლოდ წარმოგვიდგება. დიდგორი მართლაც ჩვენი ისტორიის დიდი გორია! აქ შემობრუნდა ჩვენი ერის ბედი ოქროს ხანის აღმავლობისაკენ. აქ გადაწყდა დედა-ტფილისის საბოლოო განთავისუფლების საქმე. ამიერიით – გზა დიდგორული, ქართველობის ახალი სულისკვეთების მამოძრავებელ ძალად იქცა.

1121 წლის 15 აგვისტოს აქ დატრიალდა გადამწყვეტი ბრძოლათა ბრძოლა ქართველებსა და თურქ-არაბ ამირათა ნაერთ ლაშქარს შორის...

1971 წლის მაისის დამლევს ზემო ნიჩბისის გზით დიდგორის მოსახლეობა გავემგზავრეთ, ამ ჩახლართულ მთა-ქედების შესანიშნავი მცოდნე, სასხორელი ტარიელ ხიზანიშვილი, გეოგრაფი და მთამსვლელები, ასეთ მიმოკვლევათა ხშირი მონაწილე – ჯუმბერ ჯიმკარიანი, გაზ-68-ის მძღოლი ვასო ცხვადაძე და მე – ჩვენი წინაპრების მიჩრდილული ბილიკების ძველი მაძიებელი.

ტყის გზა წვიმებს ჩაეხრამა და ახლა უსწორმასწოროდ წაშლილ ძველ სტრიქონებს უფრო მაგონებს... მაგრამ ის, რაც ამ მიდამოში „დაინერა“, უკვე არ წაიშლება ერის მეხსიერებასა და „ქართლის ცხოვრებაში“.

ვაკე-ტყის ზევით უფრო გაძნელდა სავალი. აღმართი სულ აიკიბა. მანქანასა თუ კლდოვან სავალს გააქვს გუგუნის თითქოს შორეული ბრძოლის ჩქამია... დიახ, არის გამარჯვება, რომელიც მინად და გზად ქცეული მუდამ გუგუნებს, შთამომავალს გეგულისხმება!..


გავვლეთ საირმოც... ბოლოს მივალნიეთ ალპურ ზოლს. გადავსერეთ კოშკისყელის ძაბრივით ვინრო გადასავალი. მის თავზე ახლაც არის კოშკის ნანგრევი. რა მინიშნებული, ხატოვანი სახელები იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა...

ქვევით, ნაქობრების ვეება ფრიალოდ ჩასხლექილ კლდის ტერფთან, ჩამზევებულ მწვანე ხეობაში, მიხატულივით ჩანს ქვათახევის გუმბათი. აქ კი, მაღალ თხემზე შემდგარ გორებს შორის ჩასირმული სავალი ხან საქანელასავით ჩაეკიდება, ხან მოინამგლება და ფართო კალთას მოჭრის... აი მთა-გორები – სანიავო, იქით საკურთხისი... მწვანე, ნანისლარ ბალახებში ამდგარი უთავბოლო ზურგები, ბორცვები, ღრმა ხეობებით ჩაღრანტული თხემები... ქვევით თითქოს ჩასაფრებული თუ ტყვეობაში ჩარჩენილი ტყე...

ეს უკვე დიდგორის ქედია. აი მისი უმაღლესი წერტილი – ლუშტად ბალახოვანი, სწორ სამკუთხედად აბორცვილი. აქ არის მცხეთისა და გარდაბნის რაიონების ზღვარი. დიდგორი არსებითად ალპურ თხემსა და მრავალ კალთა-მწვერვალის ქედს შეიცავს, თრიალეთის განშტოებას, კლდეკარიდან ქარ-

თის მთამდე. ალბათ, ამასვე გულისხმობს „ქართლის ცხოვრებაც“, როდესაც დიდგორს მუდამ მრავლობით რიცხვში მოიხსენიებს... „ავგისტოს თორმეტს მოვიდეს (მტრის ლაშქარი) თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა“ (ქ. ცხ. ჩვ. 341, მარიაბ. ნუსხა).

დიდგორის ქედი მრავალი ძველი გზისა და სავალის გზა-ჯვარედინზეა... დიდგორი – კლდეკარი – მანგლისი ან ნალკა; დიდგორი – ბევრეთი – ლისი – ტფილისი; დიდგორი – ორბეთი – ტფილისი; დიდგორი – დილომი – ტფილისი; დიდგორი – ნიჩბისი – ძეგვი – მცხეთა; დიდგორი – კავთა – ქვათახევი – კავთისხევი და სხვა.



ლევან გოთუა

ისტორიულად, დიდგორ-კლდეკარის კვანძი ქართლზე თავდასხმების ძირითადი არხთაგანია. 1121 წელს კლდეკარი დავით აღმაშენებლის ხელში ჩანს. მტერს დარჩა გზა მანგლის-ორბეთი-დიდგორი, ასე რომ, სრულიად არ არის შემთხვევითი მისი დიდგორზე მისვლა. მას სადღაც მცხეთის ზემოთ, შიდა ქართლში სურდა გასვლა, დავითის ლაშქრის გამოჭერა, აღმაშენებელმა კი სწორედ აქ – დიდგორზე დაუგო მათ ხაფანგი.

ფრიად საყურადღებოა, რომ დიდგორის ქედზე, სათოვლიასა და ნაბალრების თავზე, არის მთა, რომელსაც დავითის მთას ეძახიან, ეს სახელი დამონმებულია ზუსტ რუკებზეც და ხალხშიც (სოფელ სათოვლიაში შალვა ზარიძის მიერ).

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სახელი დავით აღმაშენებელთან და დიდგორის გამარჯვებასთან არის დაკავშირებული.

დიდგორის ძველი სოფლები ლელობი, ნატბეური, ზეუბანი ახლა ჩასული არიან ბარში – ვარკეთილსა და მუხათგვერდში.

დიდგორის უმაღლესი წერტილზე (1800 მეტრი) არის საკმაოდ მაღალი ყორღანი. მისი ხელოვნურობა ახლაც კარგად იგრძნობა. საკმაოდ მაღალ მინაყრილზე ჩასობილია მუხის მოზრდილი ტოტი და ლომი. ტოტზე ორი ზარი ჰკიდია. ხალხში შემონახული გადმოცემით – აქ დიდგორის ბრძოლაში დაღუპულ ძმათა საერთო სამარეა.

აქვეა ოთხკუთხედ გათლილი ქვასვეტი (25x23 სმ.) ერთი ადლის სიმაღლისა. ქვასვეტის დასავლეთ მხარეზე ამოტვიფრულია ჯვარადმართული მარჯვენა. ერთ-ერთ ზარზე მხედრული წარწერაა 1840 წლისა...

„ქ. შვენირე მე კოშაძე ქიტესამ კონის ლთიმობელსა (შიც) ჩვენის სულის საოხათ და სამლოცველოთ წელსა ჩემ“.

ეს ზარი რკონიდან ჩანს მოტანილი დიდგორის ერთ-ერთ დეკანოზ – გოგა ნიკლაურის მიერ, რომელსაც რკონელი ცოლი ჰყოლია.

მეორე ზარი უფრო ძველი ჩანს.

დიდგორობას ახლაც ფრიადი გულდაგულობითა და ზეიმით იხდიან. მისი მტკიცე გარდმონანესი არსებობს. მოჰყავთ საკლავი, უსათუოდ ბუდეები ან ყოჩები. ჰკლავენ და დააგორებენ ხოლმე წვერიდან. მოაქვთ შესანიშნავი: ვერცხლის ფული, ჯვრები, თეთრი თავსაფრები ან მიტკალი. ჩვენ გადმოგვცეს ჩანს შენერული, კარგად შენახული ჩაჩქანიც.

ნიმანდობლივია დიდგორობის ხალხში შენახული თარისლის გამოთვლაც.

ბრძოლის დასაწყისი, ჩვენს მეცნიერებაში, ყველა მასალის შეჯერებით, მართებულად მიღებულია 12 აგვისტო, და-



სასრული – 15 აგვისტო. თუ 12 აგვისტო 1121 წლისა ხუთშაბათი იყო, როგორც შესწორების შემდეგ დადგენილი აქვს პროფ. შოთა მესხიას „ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათს დღეს“ (იხ. მისი „დიდგორის ბრძოლა“). მაშინ კვირა ყოფილა 15 აგვისტოს და იგი ემთხვეოდა მარიამობას. დღესაც დიდგორობას დღესასწაულობენ მარიამობის შემდეგ პირველ კვირას. მისი საერო ხასიათი, ვფიქრობ, ამ გამოთვლაშიც იგრძნობა. იგი ემთხვევა გამარჯვების დღესაც – კვირას და გამიჯნულია მარიამობისაგანაც.

ტარიელ ხიზანიშვილმა მოგვითხრო ხალხში დარჩენილი სახსოვარი დიდგორის ბრძოლისა. დიდი გამარჯვების შემდეგ ამ ბორცვზე ერთად დაუმარხავთ აქ დაღუპული დავითის მებრძოლნი, ხოლო ლაშქარმა „აიარ-ჩამოიარა და მუჭა-მუჭა, ზოგმა კი კალთა-კალთა მიაყარა დიდგორის მიწა“.

ვფიქრობ, პირველი მუჭი მიწისა, თვით გამარჯვების სულის ჩამდგმელის – დავით აღმაშენებლისა იყო! ალბათ, მაშინ მისი სახელისა და საქმეთა სადიდებლად დიდგორის ერთ-ერთ მთას, გამარჯვების უშუალო მონმეს, ერმა მიაკუთვნა დავითის სახელი.

დიდგორზე მრავალი გადმოცემა და ზეპირსიტყვაობა არსებობს, უკვე ჩახარვეზებული და პირვანდელსახედაკარგული. ერთ-ერთი ფრაგმენტი, ნიჩბისში გაგონილი, ივანე ნიკლაურმა ჩაგვანერინა:

„...დიდგორი დიდი მთა არის,
გადასავალი ბედემი...
ისეთი თოვლი მოვალის,
როგორც ქვითკირის კედელი...“

სასხორელი მენისქვილე, მთქმელი გივი პაპიაშვილი უმატებს...

„დიდგორზე ომი, ბრძოლები
სათქმელად დარჩა ენასა...“
„...სამ დღეში ომი მოიგო,
უკუაგდო ქართლის მტერი,
დაუღალავად იბრძოდა
დავით აღმაშენებელი...“

წელს სრულდება 850 წლისთავი დიდგორის გამარჯვებისა, როდესაც ქართველმა ლაშქარმა გაანადგურა ვეებერ-

თელა ნაერთი ლაშქარი არაბეთის მეფისა დურბეზისა, სულთან მალიქ-ტოღრილისა, ელლაზისა და სხვათა, ათაბაგთა და ამირათა – დამასკისა, ჰალაბისა, განძისა და მრავალ სხვათა.

„შეკრებს ესე ყოველნი, შეითქუნეს, შეიმტკიცნეს სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომელითა აღივსო ქუეყანა... ხოლო მეფემან დავით, უშიშმან, და ყოვლად უძრავმან გულითა, ბრწყინვალე საბრძოლო გეგმითა და შემართებით, ხმლითა და სიბრძნით გადაზომა დიდგორის სიგრძე-სიმაღლე... აჰა, შედეგიც – „პირველსავე ომსა ილტვოდა ბანაკი მათი და იოტა“... ისე რომ „აღივსნენ ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა... გლახთა იხილემცა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ“... (ქ. ცხ.).

ერის ისტორიაში არის ბრძოლა, რომელიც ყოვლად აუცილებელ ქვაკუთხედად დგას შემდგომი არსებობისა და განვითარების ჭიდილში.

...გადავყურებდით დიდნაბრძოლ თხემებს, კალთებს, ხეობებს დიდგორთა... ჯერაც რამდენ უთქმელ საიდუმლოებას ჰფარავენ ისინი... რამდენ თავდადებულ გმირობასა და სანუთისოფლო უანგარობას!? ...და თითქოს ყრუდ გუგუნებდა ნაბრძოლი მიწა, აჩხრიალებდა გამოჟანგულ ხმლებსა და აბჯრებს... ჭიხვინებდნენ დაძვალული ცხენები... აჩეხილი და დაღუპული მეომრები კიდევ ერთხელ განიცდიდნენ დიდგორულ დავლურსა და ყიყინას, თავშემოვლებული გამარჯვების შეტევას!

...ჩუმად ვიდოდნენ მხოლოდ ნისლები... ღრუბლები... დრონი... მწვანე მწვერვალებს ედებოდნენ და არც ედებოდნენ...

მადლიერ შთამომავალთა ყოველ თაობას მუდამ ჰქონდა და მოჰქონდა თავისი სახსოვარი დიდგორს... ზოგს – სულის სასოება, დალოცვა და საკლავი, ზოგს – ღომი და ზარი, ზოგს ჩაჩქანი და ქვასვეტი... ვფიქრობ, ჩვენმა თაობამაც ღირსეულად უნდა აღნიშნოს ეს სახელოვანი თარიღი, ხოლო დიდგორზე – 850 წლისთავზე – აღვმართოთ სახსოვარი ობელისკი.

ლევან გოთუა
„კომუნისტი“, 4 აგვისტო, 1971 წ.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

ბ ა ხ მ ა რ ო

ბახმაროს, როგორც ვთქვით, გარშემო საუცხოო ალპური საძოვრები აკრავს, სადაც საზაფხულოდ მერგელი მწყემსები მოერეკებიან ჯოგს, განსაკუთრებით ძროხისას. პირველში გამიკვირდა, სად გურიის საძოვრები და სად მერგელი მწყემსები-მეთქი! საქმე ის გახლავთ, რომ გურულს მწყემსობა სათავილო ხელობად მიაჩნია, გურულმა რომ ძროხა მოწველოს, ესე იგი, სადედაკაცო საქმე რომ გააკეთოს, ყველასგან ყბადასაღები გახდება. მისი აზრით, ჯოგის უკან დევნა, მეჯოგობა – გურულის აზრით, საუგო ხელობაა, ადამიანის ღირსების დამამცირებელი. გარდა ამისა, მეჯოგის უზრდელობა ცნობილია. სიტყვა „მეჯოგე“ ლანძღვის სიტყვად არის ქცეული. „ნამდვილი მეჯოგეა“ – იტყვიან, როცა ვისიმე უზრდელობა სურთ გამოხატონ. სხვათაშორის, მიზეზიც ეგ უნდა იყოს იმისა, რომ ოზურგეთის მაზრაში საქონლის მოშენებას უკანასკნელი ადგილი უჭირავს მთელ გუბერნი-აში. მაგალითად, როგორც 1896 წლის ანგარიშიდან ჩანს, ოზურგეთის მაზრაში ცხენები ჰყოლიათ 3,469, ჯორები – 139, სახედრები – 37, ხარები და ძროხები – 13,451, კამეჩები – 139, ცხვარი – 66, თხა – 3,435 და ღორები 32,938, სულ 53,674 სული საქონელი.



საზოგადოდ, გურიაში საქონელი იმდენი ჰყავთ, რომ ოჯახში საჭიროებისათვის ეყოთ. გასაყიდად საქონელს არ აშენებენ, არც საზაფხულო იალაღებზე ადიან. **ასე და ამგვარად, მწყემსობა აქაურ მთებზე მერგელების მონოპოლიად გამხდარა.** უმეტესობა მწყემსებისა ზუგდიდის მაზრიდანაა ნამოსული, საკუთრივ შემდეგი სოფლებიდან; ჯგალიდან, წალენჯიხიდან, კორცხელიდან, ესე იგი იმ ადგილებიდან, სადაც მკვიდრნი საქონლის მოშენებას მისდევენ. განსაკუთრებით აქ ბევრ მწყემსს შეხვდებით კვარაცხელიას გვარისას. ეს გვარი გურიაში საერთო გვარად გამხდარა მწყემსებისათვის. **მწყემსს რომ შეხვდება გურული, ჰკითხავს, – კვარაცხელია ხომ არა ხარო? ყველანი მესაკუთრენი არიან, მათში მდიდრებიც ბევრი ურევია.** ზოგსა ჰყავს 100 ძროხა, 60 ცხენი, 400 თხა. წარმოიდგინეთ, აჭარის საზღვარზე ღორის კოლტიც კი გაუჩენიათ, რასაც მეზობელი აჭარელი გულგრილად ვერ შეხვდავს.

საძოვრებს მწყემსები იჯარით იღებენ ხაზინიდან მთელი ზაფხულით. ზოგი მთელ მთაში სამას მანეთს იხდის. მერე კერძოდ, ვინც მიაბარებს საქონელს, მწყემსს მოსამწყესავს აძლევენ საქონლის რიცხვის კვლობაზე. მაგალითად, თითო ცხენზე 2 მ. აძლევენ და სხვა. რჩებიან აქ თითქმის ხუთი თვე, მაისიდან მოყოლებული, სანამ კარგად არ დასთოვს, აქაურობას თავს არ ანებებენ. ბარად (გურიაშივე) ღვინობისთვის ჩამოდიან. აქ კი კერძო მემამულეებთან არიან დაბინავებულნი, ან და სახელმწიფო მამულეებზე სხვილფეხა საქონელზე ორ აბაზს იხდიან, თხაზე – ორ შაურს. უმეტესად ჩოჩხათის საზოგადოებაში თ. ჯამბაკურ გურიელის და მისი ძმების მამულეებში დგანან გიორგობისთვიდან ვიდრე მეორე წლის მაისამდე. გარდა ამისა დგანან სოფელ გურიანთას და მდინარე ჩოლოქის ორსავე ნაპირებზე, შავი ზღვის პირად, სადაც ზამთრობით უფრო თბილა.

აქაური მწყემსები ზოგი ოცდაათი წელიწადია, რაც აქეთკენ დადიან. ზოგი სამი წლობით არ ბრუნდება სამშობლო სოფელში. ისე კი, რიგრიგობით დადიან სახლში დიდ დღესასწაულებში: კალანდას (ახალწელიწადს), აღდგომას

და სხვა. ისეთებიც არიან, რომ აქ სახლკარდებიან და სამუდამოდ რჩებიან. საქონელს იმავე პრიმიტიული წესით უვლიან, როგორც მათი მოძმენი სამურზაყანო-აფხაზეთისა. თავისთვის თუ იკეთებენ კარავსა, რაც აქაური ტყის სიუხვეში, იაფი ჯდება, თორემ საქონელი ზამთარ-ზაფხულ ცის ქვეშა ჰყავთ, დარსა თუ ავდარში, უბინაოდ. საცოდავ პირუტყვს ზედ დასდის წვიმა, თოვლი, ნეხვში წევს, არავინა წმენდს, ითმენს საოცარი მხნეობით სიცივესა და ყოველსავე გაჭირვებასა. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებს თავისი გავლენა აქვს მათი ხორცისა და რძის რაოდენობასა და ღირსებაზე, ყურადღებას არავინ აქცევს თორემ. რძისაგან აქ მხოლოდ ერთნაირ ყველს აკეთებენ – სულგუნს, როგორც აქ ეძახიან გადაზელილს. ასაღებენ მომეტებულად ბარელ გურულეებზე, რომელთაც აქ ზაფხულობით სიმინდის ფქვილი ამოაქვთ და იმაში უცვლიან. ქილა ფქვილს 80-90 კაპიკის ანგარიშში აძლევენ, ხოლო თითო გადაზელილი, რომელიც გირვანქაზე ცოტა ნაკლებს იწონის, ორი შაურის ანგარიშში მიაქვთ. შრატისაგან ნადულს (ხაჭოს) ამზადებენ. რძესა და მანონს ბახმაროში ჰყიდიან მოჰაერებზე. კარაქის კეთებას სულ არ მისდევენ. ხოლო ზედმეტ ხარსა თუ ძროხას საკლავადა ჰყიდიან ბახმაროშივე.

ბახმაროში მოჰაერეთა შორის მერგელი მწყემსები ხშირად გამოჩნდებიან ხოლმე, ადვილი საცნობებიც არიან, სხვებში მკაფიოდ ერჩევიან:

ტლანქი მიმოხვრა, მოკლე, წყლისფერი ჩოხა, ჯვარული შალისა, ტყავის ჩაფულა, მოკლე, ჯვარული ნაბადი, მონთალო ფერისა და დაცხავებული, წონოლა ქუდი ნაბდისა ან დაგლეჯილი ყაბალახი, მაცდური თვალები, ხელში ნაძვის ჯოხი, თეთრად გათლილი. ბახმაროს ყველა მწყემსის ბელადად **უზა (სახელი) კვარაცხელია** ითვლება. მას მთელი ბახმარო იცნობს თავისი ბრტყელ-ბრტყელი და ცინიკური ლაპარაკით. მაგრამ, საკურორველია, ამდენი ხანი აქა ცხოვრობენ, გურიაში ტრიალებენ და ქართული მაინც ჯვარულის (სოფელია ზუგდიდის მაზრაში, იქაურები ლაპარაკში კილოს უქცევენ) კილოთი უნდა ილაპარაკონ. ასე ლაპარაკობდა უზაცა, ერთ დღეს მეც გამაცნეს ბახმაროს ეს გმირი, გამოვეხმაურე მისებურად, რამაც დიდად გააოცა, ვკითხე სადაურობა, როგორმყოფობა. ჯერ მერგულად მელაპარაკა, მიქო ბახმარო იმ დროისა, როცა აქ არავინ დადიოდა, არც ქალები ამოდიოდნენ და არა „სთვალამდნენ“ აქაურობასო. მერე სხვების გასაგონად თავისებური ქართულით მითხრა, – ქალემნ რომე გაჩიდენ აქანა, ნახითა და მოგვესიპა, ბატონო, საქიმე: ნადირიქ გეიქცა, ხორცი გოუფუჭდა, სემილარისტი (ვითომ ნასწავლი) ქალებიქ აქური გოლეფი (მთები) რომე ნახესუ და დათვალესუ, ყოლიფერი ნახითა. არ ღირს აქანა ყოფნა, ბალახი კიდო სუნთელი გაფუჭდა... ესე იგი ნასწავლმა ქალებმა დაიწყეს აქ სიარული და ყველაფერი დასთვალესო (თვალი ჰკრესო) – ბალახი, ნადირი, მთა, წყალიო. ქალის ნახვას მთა არა ჰგუობსო, ქალმა თავი არ უნდა აჩვენოსო. როგორც ნადირი თვალს მოჰკრავს ქალსა, მის ხორცს წინანდელი გემო ეკარგებაო. ბალახსაც ძალა აკლდება, ისე ვერ ასუქებს საქონელსაო. ქალების თვალებსა აქვთ ასეთი ძალაო. უზასა სწამდა, რასაც ამბობდა, და მეც იძულებული ვიყავი ბოლომდე მომესმინა მისი ფილოსოფია.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)
თედო სახოკია
ეთნოგრაფი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე

გურული ვაზის ჯიში ჯანი



თეიმურაზ ლლონძი

გურული ვაზის აბორიგენულ ჯიშებში **ჯანი**, როგორც მაღალხარისხოვანი საღვინე ყურძენი, ისტორიულად პირველ ადგილზეა. გურულები ჯანს **მარის ჯიშსაც** უწოდებდნენ. იაკობ მარს დაბა ჩოხატაურის სოფელ დაბლაციხეში **ჯანი** დიდ ფართობზე ჰქონდა გაშენებული დაბლარად და მაღალი ღირებების ღვინოს აყენებდა.



ჯანი

ჯანი გვიან მწიფდება, ოქტომბრის ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში. ვაზის ჯიში არის საშუალო ზრდის, მცირე მოსავლიანი, აქვს პატარა და თხელი მტევნები, მარცვალ მუქი ლურჯი, მეტად სქელკანიანი, რბილობთან ერთად ადვილად იღეჭება და ხრამუნაა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე **ჯანი** გურიაში მასობრივად გააშენეს მაღლარად. ზვრები უპირატესად გურიის შუა და ზემო ნაწილის მთისპირა სოფლებში იყო გავრცელებული. ასევე აჭარის და გურიის მოსაზღვრე ქვემო იმერეთის სოფლებში – **დასავლეთ საქართველოში ჯანი საჯავახოს ღვინოს სახელწოდებით იყო ცნობილი...**

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სოკოვანმა დაავადებებმა და ფილოქსერამ **ჯანის მაღლარები** განადგურების პირას მიიყვანა. 1905-1906 წწ. დაბა ჩოხატაურის სოფელ დაბლაციხეში ჯანის ნამყენი დაბლარად გააშენეს. ნამოწყების ინიციატორი იყო იაკობ მარის აგრონომი ა. ხუნდაძე.

ჯანის ყვავილი არის ორსქესიანი, მტევანი საშუალოზე მცირე ან პატარა, დიდი მტევნის სიგრძე 9-13 სმ-ია, ხოლო სიგანე 7-11 სმ-ი. ჯანის მტევნები ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსურია, ზოგჯერ ფრთიანი და დატოტილი. მარცვალ მუქი ლურჯი (თითქმის შავი). ფორმით თვალური, შუა წელზე განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს, მარცვალ სქელკანიანი, რბილობი კნატუნა და საღეჭი.

ჯანს ახასიათებს მცირეგამოსავლიანობა. ყურძნის წვენი ტკბილია. მტევნის შეთვალევა იწყება აგვისტოს მესამე დეკადაში, ზოგჯერ სექტემბერშიც გადადის. ჯანი მოსავალს ადრე გვაძლევს, – პირველ ნიშანს მეორე, უფრო ხშირად მესამე წელს, ხოლო სრულ მოსავალს მეოთხე-მეხუთე წელს.

ჯანის გაშენება სასურველია მზით განათებულ, შემალეხულ და ფერდობ ადგილებზე ნამყენის სახით... მაღალხარისხოვან პროდუქციას გვაძლევს კალციუმის კარბონატების შემცველ თიხნარ და ქვიშნარ ნიადაგზე. ჩხავერის მსგავსად, ახასიათებს ახოვის მიდრეკილება, საყრდენის ზედა ზონაში ვეგეტატიური ნაწილების მძლავრი განვითარება. ამიტომ, თუ მას ნახევრად ამაღლებულ ფორმირებაზე – ოლიხნარზე ან ფორჩხისებრზე გადავიყვანთ, ვაზის ზრდა მნიშვნელოვნად გაძლიერდება.

ჯანის ღვინოს ახასიათებს ნორმალური ალკოჰოლიანობა, სიმაგრე 11,5-დან 12,1 გრადუსამდე აღწევს, ზომიერი ექსტრაქტულობა და ტანინის შემცველობა. **ჯანის** ღვინო საკმაოდ შეფერილი, სხეულით მდიდარი, სქელი, ჰარმონიული და სასიამოვნო გემური თვისებების მქონეა. დავარგება-დამწიფების დროს აქვს სასიამოვნო არომატი და გემო. აღსანიშნავია ყურძნის მაღალი ტრანსპორტაბელობა და შენახვის უნარი. ინახება მთელი ზამთარი გვიან გაზაფხულამდე. ასე რომ, გურულ ჯიშს **ჯანს** ახასიათებს მაღალი გემური თვისებები, კარგი ტრანსპორტაბელობა და ყურძნის შენახვის უნარი. გურული ვაზის აბორიგენულ ჯიშებში **ჯანს** ნამყვანი ადგილი უკავია.

თეიმურაზ ლლონძი

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, ალავერდის მონასტრის მარნის მთავარი ენოლოგი, რჩეული ქართველი მელვინის საპატიო ნოდების მფლობელი

ძმარის ცაგეში მარაგის თვისება

ძმარი ყველა დასახლის სამზარეულოში მოიპოვება. მისი მოხმარების სპექტრი ბევრად ფართოა, ვიდრე მხოლოდ კულინარია...

1. აშორებს ოფლის ლაქებს ტანსაცმლიდან. გარეცხვის წინ გაყვითლებულ ლაქაზე დაასხით თეთრი ღვინოს ძმარი და დაალბეთ. გარეცხვის დროს ლაქა ადვილად ამოვა.
2. შველის ანგინას, გახსენით ერთი კოვზი ძმარი ერთ ჭიქა წყალში და ყელში გამოივლეთ.
3. არბილებს თმებს. დაბანის შემდეგ თმაზე გადაივლეთ წყალგარეული ძმარი და არ ჩამოიბანოთ.
4. ხსნის კუნთების ტკივილს. ინტენსიური დატვირთვის შემდეგ, მტკივან კუნთზე 20 წუთი დაიდეთ ძმარიანი კომპრესები.
5. ადვილად აშორებს დაწებებულ ეტიკეტებს. დაადეთ ზემოდან თბილ წყალში დასველებული ღრუბელი და ცოტა ხანი გააჩერეთ. ნებოვანი ლაქების გარეშე ეტიკეტი სწრაფად აძვრება.
6. აშორებს ყანგს. პატარა დაჟანგული ნივთები (ლურ-



მანი, ჭანჭიკი) ძმარში წამოადუღეთ, შემდეგ კარგად გარეცხეთ.

7. აშორებს უსიამოვნო სუნს. ძმარიანი ჩვრით განმინდეთ მაცივრის, კარადის ან კონტინერის კედლები.
8. აშორებს ნადებს ჩაიდნიდან. მასში წამოადუღეთ ძმარიანი წყალი.
9. თუ სახლში ჭიანჭველები გაჩნდა, ძმარი იმ ადგილებს წაუსვით, სადაც შენიშნავთ.
10. განმინდეთ შუშის, პლასტიკის ან ქრომის ზედაპირები. თუ ქრომს ძმარიანი სოლით განმენდთ, იბრწყინებს.
11. ჩაამატეთ ცოტა ძმარი ლარნაკში, ყვავილები უფრო დიდხანს იცოცხლებს.
12. გაიკეთეთ ძმარიანი აბაზანები. თუ ფეხზე სოკოს ნიშნები გაქვთ, ჩაამატეთ წყალში და ჩაყავით ფეხები 20 წუთი.
13. თუ ნიჟარის მილი გაიჭედა, ჩაყარეთ 3/4 სოდა და დაასხით 1/2 ჭიქა ძმარი. 30 წუთის შემდეგ დაასხით მდურე წყალი. დიდი ალბათობით, სანტექნიკის დახმარება აღარ დაგჭირდებათ.




პაროატიონი ფუტკრის ანემია

ვაროატოზი ფუტკრის ინვაზიური დაავადებაა და შეიძლება მას ფუტკრის ანემია ანუ სისხლნაკლებობა ვუნოდოთ, რომელიც პირველადი პათოლოგიური პროცესი არ არის და დაავადებისათვის დამახასიათებელ სიმპტომს წარმოადგენს.

სისხლნაკლებობა გამოწვეულია ბარტყის და ფუტკრის სხეულზე ტკიპა ვაროას პარაზიტული ზემოქმედებით, რომელიც შეიჭრება ბარტყიან უჯრედში გადაბეჭდვის წინ და საჩხველტი – სანუნნი პირის აპარატით არღვევს ბარტყის სემინტა შორის არსებულ რბილ კუტიკულას და ინოვს ჰემოლიმფას, რომელიც ტკიპისათვის ერთადერთ საზრდოს წარმოადგენს და აღარბებს ფუტკრის ბარტყის ორგანიზმს ჰემოლიმფით.

ფუტკრის სისხლს **ჰემოლიმფა** ჰქვია, რომელიც ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სისხლს. იგი უფერული სითხეა, სისხლისგან განსხვავებით მასში ერთროციტები არ არის, რომელიც სისხლს ნითელ შეფერვას აძლევს და სუნთქვით პროცესშიც არ მონაწილეობს. თუ ხერხემლიანებში სისხლი მოძრაობს ძარღვებით და ჩაკეტილი წრე აქვს, ფუტკრის ორგანიზმის სისხლი ღია სისტემით მიმოიქცევა. **ჰემოლიმფის** მოძრაობას განაპირობებს გული, რომელიც გრძელ მილს წარმოადგენს და შედგება ერთმანეთთან სარქველებით დაკავშირებულ კამერას. ფუტკარში სისხლი ერთი მიმართულებით მოძრაობს, გულის უკანა ბოლოდან აორტის გავლით თავისკენ და ღია ბოლოდან იღვრება მუცლის ღრუში და ყველა ორგანოს მოეფინება. **ჰემოლიმფა** გამჭვირვალე უფერული სითხეა, ახალგაზრდა ფუტკარში იგი ჯერ თეთრი მღვრიე ფერისაა, შემდეგ კი გამჭვირვალე ხდება, ასაკის მატებასთან ერთად იგი ყვითელ ფერს იღებს, რაც გამოწვეულია მასში დიდი რაოდენობით ცხიმოვანი წვეთებისა და უჯრედული ელემენტების არსებობით. ფუტკრის ყველა ორგანო, ქსოვილი და უჯრედი მუდმივ შეხებაშია ჰემოლიმფასთან და ინოვს მათთვის საჭირო ნივთიერებებს, ხოლო უჯრედებიდან და ორგანოებიდან გამოყოფილი ნივთიერებათა ცვლის პროდუქტები ჰემოლიმფის საშუალებით გადადის მალპიგიის მილებში, რომლის საშუალებითაც ისინი იდევნიებიან ორგანიზმიდან. ასე რომ, ფუტკრის და ბარტყის ორგანიზმის ჩამოყალიბებაში **ჰემოლიმფის** როლი



მარცხნივ მდედრი, მარჯვნივ მამრი ტკიპა


განუსაზღვრელია.

ბარტყის ორგანიზმში **ჰემოლიმფას** უკავია სხეულის წონის 30%, რომლის 1/6 – 1/4 ნაწილი უჯრედული ელემენტები – ჰემოციტებია. ისინი აქტიურად და თავისუფლად მოცურავე შიშველი უჯრედებია. ჰემოციტების დახმარებით ფუტკრის ორგანიზმი ებრძვის მასში მოხვედრილ ბაქტერიებს და ანადგურებს საკუთარი სხეულის მიერ დაშლილ უჯრედებს. **ჰემოლიმფაში** დაახლოებით 75% წყალია, მინერალური მარილები 3% შეადგენს, კათიონებიდან გვხვდება Na, K, Ca, Mg, იონებიდან – ფოსფორი, ჰემოლიმფას მუავე რეაქცია აქვს pH=6,4 – 6,8. მასში მნიშვნელოვანი რაოდენობითაა ცილები (8%) და ცხიმები (5%). ჰემოლიმფა ცხიმოვან სხეულებთან ერთად, კვებას უჯრედებს და ორგანიზმში მიმდინარე სითბურ პროცესებს აწესრიგებს. მასში 0,04% გლუკოზაა, რომელიც ენერგეტიკულ წყაროს წარმოადგენს და უშუალოდ კუნთების მოძრაობისთვის არის განკუთვნილი. **ჰემოლიმფაში** არის მელანინის გამოამაჟუვებელი ფერმენტები, განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა ისინი ჭუპრობის პერიოდში, რის გამოც მელანინის ჩართვით მწერებს შავი შეფერილობა ეძლევა და კუტიკულა უმუქდება. ჰემოლიმფა შეიცავს ჰორმონებს, რომელთა მოქმედებით ჭია გარდაიქმნება ჭუპრად, ჭუპრი კი მოზრდილ ფუტკრად. ფიქრობენ, რომ ჰემოლიმფა მონაწილეობს სუნთქვის პროცესებში, რასაც მიგვანიშნებს მასში მოჭარბებული რაოდენობით ფერმენტ ოქსიდაზას არსებობა. კუნთებში დაგროვილი ფერმენტებით გამოიშვებული სითბური ენერგიით გამთბარ **ჰემოლიმფას** სითბო გადააქვს ორგანიზმის იმ ადგილისკენ, სადაც შედარებით დაბალი ტემპერატურაა.

ჰემოლიმფა – სისხლი საკვების დამტარებელიც არის და მალპიგიის, ასევე ცხიმოვანი უჯრედების დახმარებით უვარგისი ნივთიერებების გარეთ გამომტანიც.

ზემოთხსენებული მოკლე ინფორმაციიდან გამომდინარე თვალსაჩინოა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის ნორმალური ჩამოყალიბებისა და ცხოვრებისეული პროცესების ნორმალური წარმართვისთვის ჰემოლიმფას, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული მასში მიმდინარე პათოლოგიური პროცესები ინვევენ ორგანიზმში **ჰემოლიმფის** ნაკლებობით შინაგანი ორგანოების არასრულად ჩამოყალიბებას, შრომისუნარიანობის დაქვეითებას, ანემიური ფუტკრის სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებას, დაავადების განვითარების შედეგად მათ განადგურებას, რომლის მაგალითს წარმოადგენს საყოველთაოდ გავრცელებული დაავადება ვაროატოზი.

მეცნიერებმა დომაცკაია, სმირნოვი, გრობოვი, ბაზოვი,



მამრი ტკიპა მუცლის მხრიდან:

- ა) შესაუღლებელი ძაბრი; ბ) ანალური ფარი



კუზმინი, ტიტოვი, შნაიდერი და სხვა შეისწავლეს ვაროატოზის დროს ტკიპა ვაროას ზემოქმედებით ბარტყის და ფუტკრის ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური ცვლილებები და დაადგინეს, რომ **ჰემოლიმფით** კვებისას ტკიპებში ყოველ ორ საათში ინვევენ ბარტყის მასის დაკლებას 0,1 – 0,2 %-ით, სხვადასხვა დაავადებების მიმართ მდგრადობის დაკარგვას, არ გამოიციხავენ ტკიპის მიერ ჩხვლეტის დროს ბარტყის ორგანიზმში ტოქსიკური სუბსტანციების შეყვანას. ნაჩხვლეტი ადგილიდან **ჰემოლიმფა** პატარა წვეთის სახით გამოიყოფება და ჯანმრთელი ორგანიზმისგან განსხვავებით, მას დაკარგული აქვს შედეგების უნარი. 6 დღის სამუშეო და 7 დღის სამამლე ბარტყში ტკიპის ზემოქმედებით **ჰემოლიმფის** მასა მცირდება 3 და 7 მგ-მდე. ყველაზე ძლიერად პათოლოგიური პროცესები უვითარდება ბარტყს განვითარების მეორე სტადიაში, რის შედეგად სამუშეო ჭურჭლის სხეულის მასა 3-6მგ-ით, მამალი ჭურჭლისა კი – 13 მგ-ით მცირდება, ასევე შემცირებულია მასში მშრალი ნივთიერებები, საერთო აზოტის რაოდენობა და სხვა.

ერთ ბარტყზე სამი ტკიპის პარაზიტობისას ჰემოლიმფის დანაკარგი შეადგენს 23,6 %, 4-6 ტკიპის შემთხვევაში 40-65 %. ჭურჭლის პერიოდში ჰემოლიმფაში გროვდება მელანინის დიდი რაოდენობა, შესამჩნევია ვაროატოზის დროს **ჰემოლიმფით** გაღარიბების შედეგად დაავადებულ ოჯახში რუდიმენტალური – განუვითარებელი ფრთებიანი ფუტკრის დაბადება, კუტიკულა გაშიშვლებულია ბუსუსებისგან, პრიალებს და შავი შეფერილობა აქვს. ტკიპის ზემოქმედებით დაზიანებულ ჭურჭლებში იზრდება ჟანგბადის მოთხოვნილება 15 %-ითასევე დიდია ენერგეტიკული მარაგის დანაკარგიც. უჯრედიდან დაბადებული ტკიპისგან დაზიანებული ფუტკარი შესამჩნევად პატარა და მსუბუქია, ნინაში 25%-მდეა დაკლებული. ნონის მასის დაკლება პირდაპირ არის დამოკიდებული პარაზიტების რაოდენობაზე, რაც ერთი ტკიპის შემთხვევაში – 6,5 %, ორის – 10,6 %, 7-8 ტკიპის დროს 23 – 25 % შეადგენს. დაზიანებული მწერის სხეულში მშრალი ნივთიერება შემცირებულია, აზოტის ნარჩენი რაოდენობა გაზრდილია 22 -25 %-ით, ჰიპოფარინგიალური ჯირკვლები, რომლებიც ინვერტაზას გამოიმუშავენ და ფუტკრის რძის კომპონენტია, დაპატარავებულია.


ასევე ორჯერაა შემცირებული საკვებ ნივთიერებათა რეზერვი – ცხიმოვანი სხეულები. სამი ტკიპით დაზიანებულ მამალ ფუტკარში სპერმის პროდუქცია 50 %-ით მცირდება და ასეთი მამლებით განაყოფიერებული დედები მალე წყვეტს კვერცხის დებას. **ჰემოლიმფის** სიღარიბის-ანემიის გამო ფუტკრის სიცოცხლის ხანგრძლივობა 30 – 40 %-ით მცირდება.

მართალია, **ჰემოლიმფის** სიღარიბის გამო შინაგან ორგანოებში მიმდინარე პათოლოგიურ პროცესებს ვერ ვხედავთ, მაგრამ **ჰემოლიმფის** შემცირებით – ანემიით მიღებული მძიმე შედეგი გამოხატულია გარეგნული კლინიკური ნიშნებით: ძლიერი ინვაზიის დროს გადაბეჭდილი ბარტყის სახურავის ჩაჩხვლეტა, უჯრედში ჩამკვდარი ბარტყის არსებობა დაპატარავებული სხეულით ფუტკრის დაბადება, მოლაპლაპე ბუსუსებგაცვენილი კუტიკულა, განუვითარებელი რუდიმენტალური ფრთები, ტკიპისგან შენუხებული ალგზნებულ მდგომარეობაში მყოფი ფუტკრების მიერ დიდი რაოდენობით ნექტრის შემოტანა, ბუდეების გადავსება თაფლით და ზაფხულში ზოგიერთი ძლიერი ოჯახის მიტოვება სკაში დიდი რაოდენობის თაფლით გადავსებული ფიჭების არსებობით. ზამთრის თვეებში თბილად ყოფნის გამო, მუცლის სეგმენტებს შორის შემძვრალი ტკიპები ფუტკრის ორგანიზმიდან საჩხვლეტი საწუნნი პირის აპარატით დაზიანებული კუტიკულიდან გამოჟონილი **ჰემოლიმფით** იკვებებიან და დაავადებულ ფუტკრებს უფრო ასუსტებენ, გაღიზიანებული ფუტკარი გუნდს ვერ კრავს, ინვესს დედაში ნაადრევად კვერცხისდების დაწყებას და სხვა.

ანემიის შედეგად ფუტკარში განვითარებული პათოლოგიური პროცესების აღმდგენი საშუალება მსოფლიოში ჯერ არ არსებობს და საქართველოს ვეტდუპარტამენტის მიერ დარეგისტრირებული დაავადებასთან ბრძოლის ყველა საშუალება და მეთოდი მიმართულია ტკიპების განადგურებაზე და არა დაავადებული ბარტყის და ფუტკრის სამკურნალოდ, ინვესს ფუტკრის სხეულზე მყოფი პარაზიტების სიკვდილს და გადაბეჭდილ ბარტყში არსებულ ტკიპებზე ვერ მოქმედებენ, ამიტომაც ახლადდაბადებულ ფუტკართან ერთად გამოყოფილ ტკიპებზე ლეტალური მოქმედებისთვის აკარიციდებით დამუშავება ტარდება მე-



ვაროას ტკიპები ფუტკრის სხეულზე და ბარტყზე



ვაროას ტკიპები ბარტყზე და ფუტკრის სხეულზე

ფუტკრეობის აქტიურ სეზონზე – გაზაფხულზე 2-ჯერ, ზაფხულში – მცირე ღალიანობისას (როცა ოჯახში ბევრი ბარტყია) 5-6-ჯერ, ძლიერი ღალიანობისას (როცა ბარტყი მცირე რაოდენობითაა) 2-3-ჯერ, შემოდგომაზე 2-ჯერ 7-7 დღის შუალედით, უბარტყო ფუტკრის ოჯახები, ან ახლად დასახლებული ბუნებრივი ნაყრები (რომელსაც რა თქმა უნდა ბარტყი არ მიჰყვება და აქედან გამომდინარე გადაბეჭდილი ბარტყის არარსებობის გამო, მასში შეღწეული ტკიპები არ არიან და ისინი მხოლოდ ფუტკრის სხეულზე იმყოფებიან) ერთჯერადი დამუშავებით თავისუფლდებიან ტკიპებისგან. დანარჩენ ოჯახებში აკარიციდის გამოყენებას სწყვეტენ, თაფლის გამონურვამდე 20 დღით ადრე აკარიციდების გამოყენებას წყვეტენ და საჭიროებისამებრ აგრძელებენ გამონურვის შემდეგ.

ინსტრუქციით გათვალისწინებული ვაროატოზთან ბრძოლის გატარებას მოჰყვება მაქსიმალური რაოდენობის ტკიპების მოსპობა, ფუტკრის ოჯახების უზრუნველყოფა ჯანსაღი თაობით და კლინიკური გამოჯანმრთელება.

ზემოთაღნიშნული მითითებების გაუთვალისწინებლობა და თვითნებური, არაკვალიფიციური მიდგომა, მოვლა-პატრონობის წესების დარღვევა ვერ იხსნის დაავადებულისაგან მოსალოდნელ შედეგს. ხშირად ფუტკრის გამოზამთრების არახელსაყრელი შედეგის მიზეზი მეფუტკრემ თავის თავში უნდა ეძებოს, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ვაროატოზთან ბრძოლის ყველაზე გადამწყვეტი სეზონის – ზაფხულში ფუტკრის დამუშავების უგულვებლყოფაა, როცა ამ პერიოდში ყველაზე მეტი ბარტყია ოჯახში, ინტენსიურადაა მომრავლებული ტკიპები და ბარტყის უჯრედში შეღწეული ტკიპების პარაზიტული მოქმედების შედეგად, დაზამთრებაში შედიან სისხლგალარბებული – ანემიური ფუტკრები, გარდა ამისა, ფუტკრის ნორმალურ გამოზამთრებას ხელს უშლის ბუდეების დაგვიანებული შევიწროება და გაშლილ ბუდეზე ფუტკრის დაზამთრება, როცა მოახლოებული ზამთრის პერიოდში ფუტკარი ვერ ასწრებს სამარაგო საკვების დაბინავებას გუნდის შესაკვრელ შემოგარენში, რის გამო მკაცრი ზამთრის სიცივეების დროს, გუნდის შეკვრის ადგილიდან იქვე რამდენიმე სანტიმეტრზე არსებულ თაფლზე პატარა გუნდში არსებული ფუტკრები, ვერ ახერხებენ გადაჩოჩებას და საკვების ძიებაში ისინი თავდაყირა ფიჭის უჯრედში ჩაკიდებული იხოცებიან, ასევე ფუტკრის არასასურველი გამოზამთრების მიზეზი საშემოდგომო თაობის შაქრის სიროფით გამოკვებაა, რომელიც აჩქარებს მათ ფიზიოლოგიურ ცვეთას და ნაადრევ სიბერეს.

ფუტკრის ოჯახების არასასურველი გამოზამთრების




ვაროატოზით დაავადებული ფუტკარი განუვითარებელი ფრთებით

მიზეზი ხშირად კარგ მოვლა-პატრონობაში მყოფ საფუტკრეებშიც აქვს ადგილი, რომელსაც ბოლო წლების მანძილზე საქართველოს ზოგიერთ რეგიონში არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით, ასე რომ, ზამთარი აღარ ზამთრობს და თბილი ამინდებით ემსგავსება ადრე გაზაფხულის კლიმატურ პირობებს, ნაცვლად იმისა რომ ზამთრის თვეებში ფუტკარი გუნდში იმყოფებოდა და გაზაფხულამდე დაზოგოს ენერჯია, მონანილეობა მიიღოს თაობათა ცვლაში, ზამთარში თბილი ამინდებით გამოწვეული ხშირი გამოფრენა კუჭნაწლავის გასაწმენდად და შესაბამისად ინტენსიური კვებით, აქტიურობაში მოყვანილი ფუტკრის მიერ სკის შიდა ტემპერატურის მაღლა აწევით დედა ფუტკარი კვერცხისდება ნაადრევად იწყებს, რაც იწვევს ბარტყის გამოზრდისათვის ფუტკარში ენერჯიას სულ ხარჯვას, თაობათა შეცვლამდე მათ სიკვდილს და ხშირად სკაში უფუტკროდ დარჩენილი ბარტყიანი ჩარჩოების არსებობას.

ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის და შპს „იმპერვეტის“ (ფუტკარა ჯგუფი) კონსულტანტი

ვენერა სტეფანიშვილი

რედაქციისგან: 2018 წლის მარტის ნომერში ფუტკრის ინვაზიური დაავადება ვაროატოზი არასწორად დაიბეჭდა, – ვაროატოზი და არა ვარვატოზი. მკითხველს ბოდიშს ვუხდით.



ტკიპების ხაფანგის – გადაბეჭდილი სამამლე ბარტყის ამოჭრა

...ჩემი თბილისი და ფიროსმანი...

განგებულ ვიხოვ, აყხობხში სი ჯამიომოს ვხავსავაოი, შვიიომხიოი ჯამხიხიონოს მავნითავარ ვაქაჩქაჩქაქაო, ნქოში განყვექიო, აყვქხიოილ ჯიხა მყვანიო, მავხამ მინე სყოხე აქქებქ ჯემ საშომხლოში.

ქოხიო! შერ ზენო ჯემ ხაჟხსა ჯა ქვეყანას...

სყოხიოი, ჯაქმბქი ჯიშქაჩიანი

სამოცდაათიანი წლების თბილისი. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი გადაჭედლია. სტუდენტები მუხრან მაჭავარიანს მასპინძლობენ.

– ვახტანგის ადგილს იჭერს ხეჩუა, გვეცლება ქართლი თვალ და ხელშუა, – ბუხუნებს მუხრანი...

დარბაზი გრგვინავს, თუმცა ჯერ არ ვიცით, რა გველის ახლო მომავალში; რა მუხანათობა მზადდება ქართლში... პოეტი გუმანით გრძნობს, მაგრამ...

– შოთა რომ არა, ტატო რომ არა, ვაჟა რომ არა, კიდევ შო, მარა, ესენი როა? ახლა კი დროა, სოლომონ, რომა, კვლავ დაიქუხოს საქართველომა...

დარბაზი ლამის დაინგრეს ტაშისგან. ზოგჯერ ზემოთ ავიხედავ, – თავზე ხომ არ დაგვემხოზა-მეთქი ჭერი...

მყარად ნაგებმა შენობამ მაშინ კი გაუძლო ოვაციებს, მაგრამ... ცოტა ხნის შემდეგ უნივერსიტეტსაც თავზე დაგვამხოზენ და მთელ ქვეყანასაც; ყოველივე ქართულს წირვას გამოუყვანენ შინაზარდი ბარბაროსები...

მაშინ კი, სამოცდაათიან-ოთხმეცნიან წლებში, მიუხედავად ქვეყნად არსებული მრავალი უკეთურებისა, ვერავინ გაბედავდა შოთას, ილიას, ვაჟას, აკაკის, გალაკტიონის – ერის სათაყვანო სახელების აუგად ხსენებას. ინსტანციების ჩარევა არც იყო საჭირო, – მათ თავად სტუდენტები, – გონიერნი, განათლებულნი, ჯიბეგაფხვილი, მაგრამ სულიერებით აღსავსე სტუდენტები მოუვლიდნენ...

ხოლო, როდესაც აპრილის ერთ მზიან, მაგრამ საზარელ დღეს, ქართულ ენას სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა, ერთ სისხლ და ერთ ხორც შეკრული სტუდენტები და მოსწავლე ახალგაზრდობა მკერდით აეფარა დედა-ენას, რითაც უფროს თაობას მალალი ზნეობისა და თავგანწირვის მაგალითი უჩვენა!!!

უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებთან, მზია გელაშვილთან და მედიკო ბოკერიასთან პოეზიის სიყვარულმა დამამეგობრა.

ჩვენს შორის უპირატესობა მზიას აქვს, – იგი უნივერსიტეტის ანსამბლში ცეკვავს, მღერის; რაც მთავარია, ლაღო ასათიანის ლექსებს კითხულობს შეუდარებლად. არ გვწყინდება მისი მოსმენა. ცხადია, სხვა პოეტების ლექსებსაც გვიკითხავს, მაგრამ ლაღოს აღმერთებს.

როგორც კი საშუალება მოგვეცემა, ყოველდღიურ ორომტრიალს დროებით თავგარიდებულნი, აკადემქალაქის უკან, ტერასაზე ვსხდებით, გავყურებთ ლამის თბილისს და პოეზიის სამყაროში ვიძიებთ.

...რუსთველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალოს ღმერთმა; მხოლოდ ზოგჯერ დამარტყიანოს ქაშვეთის შემობნევა; ...რა კარგი იყო ბარდნა; ...ჩემი თბილისი და ფიროსმანი, არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა...

გარინდული ვუსმენთ მზიას...

იგი საოცრად კითხულობს სასაფლაოს, რომელიც ლაღომ ქალიშვილს უძღვნა. პოეტი თითქოს გრძნობდა, რომ

ახლოს იყო აღსასრული და შვილს ანდერძს უბარებს: ...და ყვავილთა დედოფალო, მოიგონე მამაშენი: შუშა-ოქროდ გასაზრდელო, თქვი, რომ მოკვდა სიყვარულით, – შეუყვარდა საქართველო. თქვი და ისე გაიცინე, მანანაო თვალხატულავ, რომ მე გულზე დამიქროლოს, სიცოცხლედ და ნაკადულად...

ეს ლექსი მზიას ალბათ იმიტომაც უყვარს გამორჩევით, რომ პირადად იცნობს და მეგობრობს პოეტის ქალიშვილთან.

შემდეგ ბილიკით ჩელუსკინელების ხიდთან ჩავდივართ და ქვეითად მიგყვებით ქუჩას რკინიგზის სადგურისკენ, რომელსაც დღეს თამარ მეფის სადგური ეწოდება.

მაშინ ამის წარმოდგენა შეუძლებელი იყო!

სადგურიდან ფიროსმანის ქუჩით მედიკოს მივაცილებთ სახლამდე, შემდეგ საბურთალოზე ვბრუნდებით...

მას შემდეგ სამი ათეული წელი გავიდა...

... მეშვიდე წელია ამერიკაში ვარ, საქართველოდან ძალიან შორს, ყოველივე მშობლიურს მონყვეტილი და მონატრული...

ორი დღის წინ, ფლორიდაში, ჩემს დროებით აპარტამენტში, ფიროსმანმა შემოანათა! ნიუ-ორკიდან ცისანა ჯანაშვილის მიერ შესრულებული ფიროსმანის პორტრეტი მივიღე.

სწორედ ამ სურათმა გამახსენა სამი ათეული წლის წინანდელი ამბავი...

საოცარი პორტრეტი! მონუსხული მიჩერებვიარ სვეგამწარებული ნიკალას კეთილშობილ, ამყ სახეს; მეტყველ, საოცრად მეტყველ თვალებს, რომლებშიც თითქოს მთელი ქვეყნიერების დარდი და სევდა ჩაგუბებულია...

ხელმარცხნივ მხატვარს ჟირაფი აღუბეჭდავს; ოქროსფერი, ნიკალას ჟირაფი.


– რატომ მაინცდამაინც ჟირაფი? – მინდოდა მეკითხა ცისანასათვის; განა, უფრო ბუნებრივი არ იქნებოდა ჟირაფის ნაცვლად ფიროსმანისეული ირემი ყოფილიყო, ლომი ან დათვი; ძალზე პოპულარული მეეზოვე ან თუნდაც აქტრისა მარგარიტა, მაგრამ თავი მევიკავე, რადგან შემოქმედის ფიქრები შეუცნობელია...

როგორც მართებულად შენიშნავს ბატონი ვახტანგ ბუაჩიძე, თავად ფიროსმანის შემოქმედებაში, პასუხზე მეტი კითხვებია. ასეა ეს პორტრეტიც,

ამიტომ მასზე საუბარი ამჯერად სხვებისთვის მიმინდვია.

საოცარი ბედი არგუნა განგებამ ფიროსმანს! სიცოცხლეში ვერა და ვერ ეღირსა დაფახებას; მარტოსულმა, მიუსაფარმა და ჯანგატეხილმა, ოროცდათორომეტი წლისამ სარდაფში დალია სული... ბედი სიმუხთლითა და თანამედროვეთა ბედოვლათობით, მისი საფლავიც დაიკარგა; მხატვრის მივიწყებული ნამუშევრები ხელახლა გახდა აღმოსაჩენი, მაგრამ სანთელ-საკმეველმა გზა არ დაკარგა!

... ვინ იცის, მსოფლიო სახელის მქონე, რამდენმა





ცისანა ჯვანაშვილი

ალიარებულმა ხელოვანმა ინატრა ის პატივი და დიდება, ფიროსმანს რომ ხვდა წილად, გარდაცვალებიდან ექვსი ათეული წლის შემდეგ...

დაუჯერებელი რამ მოხდა!

მსოფლიოს ხელოვნების მექამ, – ლუვრმა ჩვენის ბედო-ცლათობით საფლავდაკარგულ ნიკალას უმასპინძლა!

გამოფენის გახსნის დახურვამდე, ლუვრის შესასვლელთან მხრებგამიშვლებული, ნაპოლეონის ფორმამი გამონყობილი გვარდიელები გარინდულიყვნენ!

ოცდათვრამეტი წელი გავიდა იმ დღიდან!

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა მსოფლიოში; გაჩნდა ახალი სახლები, ახალი მიმდინარეობები ხელოვნებაში, მაგრამ ისეთი პატივი, როგორც ნიკალას მიაგეს, არავის ღირსებია!..

ათასი მადლობა ფრანგ ერს ფიროსმანის ბაჯაღლო ნიჭის დაფასებისთვის.

ფიროსმაზე ზოგიერთი ცნობის დასაზუსტებლად, თბილისში ბატონ თამაზ სანიკიძეს დავურეკე, თან ბოდიში მოვუხადე გვიან ღამით შეწუხებისთვის. არადა, მასზე უკეთ ვის შეეძლო ფიროსმანზე მოეთხრო. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, ბატონი თამაზ სანიკიძე თქვენსმეტი წელი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო

მუზეუმის დირექტორი ბრძანდებოდა.

ბატონი თამაზის დიდბუნებოვნებით და კეთილგანწყობით მოვიხიბლე.

– რას ბრძანებთ, რა შეწუხებაზეა საუბარი? – გაიკვირვა: თუკი ამ გაუსაძლის ყოფაში ვინმე საქართველოზე და ქართულ კულტურაზე ფიქრობს, მათ დახმარებას როგორ დავიზარებ? – ბრძანა მან; რაც შეეხება გამოფენას, რომელიც თქვენ გაინტერესებთ, – 1969 წელს გაიხსნა. მაშინ მუზეუმის დირექტორი აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი ბრძანდებოდა.

ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა საფრანგეთის კულტურის მინისტრმა გახსნა, რაც განსაკუთრებული შემთხვევაა!

ერთ დეტალს გავიხსენებ.

გამოფენაზე ილია ზდანევიჩმა პიკასო მოიყვანა. სწორედ ეს გახდა იმპულსი, რომ პიკასომ ფიროსმანის პორტრეტი დახატა.

შემდგომში, ცნობილმა მოღვაწემ, სერგი წულაძემ მოახერხა და პიკასოს ტრუშით შესრულებული და გრავირებული ფიროსმანის პორტრეტი თბილისში ჩამოიტანა. ეს სურათი დიდის წვალებით შევიძინე ხელოვნების მუზეუმისთვის.

1978 წელს, იტალიის ქალაქ ვენეციაში მოენყო გამოფენა, სადაც სხვა ქართველ მხატვრებთან ერთად ფიროსმანი ფართოდ იყო წარმოდგენილი.

1983 წელს, კვლავ საფრანგეთში, ამჯერად მარსელსა და ნიცაში გაიმართა ფიროსმანის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა; 1986 წელს – იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში, ხოლო 1988 წელს – ბერლინში.


ოთხივე გამოფენის მომზადებას მე ვხელმძღვანელობდი.

გამოფენებისადმი ინტერესი ძალიან დიდი იყო. ეს არცაა გასაკვირი – **ფიროსმანი ზეგარდმო ნიჭიერებაა, ხალასი და ნაღდი. მის გვერდით სხვა მხატვარი იჩრდილება.**



– ეს ვრცელი საუბრის თემაა – ბრძანა მან.

ბატონ თამაზს მადლობა გადავუხადე საინტერესო საუბრისთვის; თან აღვუთქვი, რომ ამ დღეებში ცისანა ჯვანაშვილის მიერ შესრულებული ფიროსმანის პორტრეტს გავუგზავნი; ფიროსმანზე საუბარსაც შემდგომ განვაგრძობთ.

ლარგო, ფლორიდა ჯუმბერ ჯიშკარიანი



ნიუო თეროსმანი



დალის ხეობაში მზაკრობაა მოსალოდნელი...

...ეპისი საქთაბერი არაჩვეულებრივი დღა...

– მეგობრებო! ონში შესანიშნავი სინაგოგაა. გზად დიდებული ნიკორწმინდა მოვიხილეთ. ახლა სინაგოგაში მივდივით. ამ სინაგოგას ორი წლის წინ ასე წელი შეუსრულდა. გარდა იმისა, რომ საინტერესო არქიტექტურული ძეგლია, სიმბოლურიც იქნება, წელს ხომ ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების საიუბილეო წელია – გვთავაზობს ეპიდემიოლოგი, ბატონი ნიკო ცერცვაძე.

– შეიძლება შესვლა? – ვეკითხებით სინაგოგის წინ შეკრებილთ.

– მობრძანდით, – თავაზიანად გვეპატიუებინან.

ბრიგადის ზოგიერთი წევრი პირველადაა სინაგოგაში. ინტერესით ათვალიერებენ.

წელს, 6 სექტემბერს ფართოდ აღინიშნება ებრაელთა საქართველოში მოსვლის 2600 წლის იუბილე.

– რატომ 6 სექტემბერი? რას უკავშირდება ეს თარიღი? – ვიკითხე, ვერაფერს მიპასუხა.

ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალე გაზეთის მკითხველებს შევთავაზო იოსებ ხანანაშვილის წერილი, რომელიც ისტორიკოსმა სულიკო ნუცუბიძემ მოიძია. იგი 1918 წლის 25 ენკენისთვის დაისტამბა გაზეთ საქართველოში.

„6 სექტემბერი არაჩვეულებრივი დღეა ქართველ ისრაელთა მრავალსაუკუნოვანი არსებობისა.

წინათ, როდესაც საქართველოს სათავეში ერთი პიროვნება – მეფე იდგა, ქართველ ისრაელთა ბედ-იღბალის გამგეც იგივე მეფე იყო. მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეფე ფარნავაზიდან მოყოლებული, ვიდრე ერეკლე მეორემდე ქართველ ისრაელთა შუბლი არ მოღუშულა და გული არ გატეხილა. ცხოვრობდნენ ისე, როგორც ცხოვრობდნენ ქრისტიანი ქართველები.

ქრისტიანთა გასაჭირი ისრაელის კარსაც დააკაკუნებდა, ხოლო ლხინი და ბედნიერებაც თანაბრად იყოფოდა ხოლმე ამ ერის შვილთა შორის. ასე იყო 1783 წლამდე, სანამ ჩვენში რუსეთი დამკვიდრდებოდა.

აქედან იწყება ქართველ ისრაელთა შავი დღე.

შემოვიდა რუსული სახელმწიფოებრიობა, რუსული სული, რუსული იერი და თან მოიტანა ჩაგვრა, რბევა, უკულტურობა და მათრახი.

ესეც საერთო იყო ქართველ ისრაელთა და ქართველ ქრისტიანთათვის, მაგრამ უფრო მწარედ იგრძნო რუსული მათრახი ისრაელმა, ვიდრე ქრისტიანმა. უკანასკნელს ისეთივე სარწმუნოება აღმოაჩნდა, როგორც რუსებს ჰქონდათ, ხოლო ეს გარემოება სრულიად სპობდა სარწმუნოებრივი ჩაგვრის შესაძლებლობას. ქართველი ისრაელი კი იტანჯებოდა ორნაირად: ეროვნულად, როგორც ქართველი, და სარწმუნოებრივად, როგორც ისრაელი.

ბევრი გვასწავლეს რუსებმა, მაგრამ პოგრომ-ხულიგნურმა პედაგოგიკამ ფეხი მაინც ვერ მოიკიდა ჩვენში. ასე მოვედით 1918 წლის 26 მაისამდე.

26 საუკუნის განმავლობაში არ გარბენილა შავი წყალი ქართველ ისრაელთა და ქართველ ქრისტიანთა შორის.

მაგრამ ქართველ ხალხს, როგორც ასეთს, თავისი სიტყვა საჯაროდ, საქვეყნოდ მაინც არ უთქვამს. იგი იდუმალად, ინსტინქტურად ძმობდა ისრაელ ქართველს, მაგრამ 6 სექტემბერს ეს სიტყვა ითქვა. ითქვა სულ სხვა შინაარსით, ვიდრე რუსთათვის, სომეხთათვის, ბერძენთათვის, ებრაელთათვის.



მართალია, დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყველა თანასწორია, მაგრამ პირველი სიტყვა საქართველოში მაინც ქართველ ერს ეკუთვნის. და თუ ასეა, ამ პირველი სიტყვის მონაწილე ქართველი ისრაელიც იქნება.

ამას ქართველი ისრაელობა დღემდე მოკლებული იყო რუსული კულტურის მიერ შექმნილ მრავალ გაუგებრობათა გამო, მაგრამ დღეიდან საქართველოში აღდგა ქართული კულტურის პრიორიტეტი, აღსდგა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა ის დამოუკიდებლობაც, რომელიც ქართველ ხალხს წინათ აერთიანებდა და საქართველოს ხალხოსნურმა პარლამენტმა 6 სექტემბერს სხდომაზე თქვა, რომ ქართველ ისრაელებს ორი დეპუტატი უნდა ჰყავდეს პარლამენტში არა როგორც ეროვნულ უმცირესობას, არამედ, როგორც ქართველი ერის მთლიან, განუყოფელ ნაწილს, ხოლო რელიგიურად სხვასახოვანს. მაშასადამე, პრინციპი ქართველ ისრაელთა ეროვნულ საბჭოში წარმომადგენლობისა არა ეროვნულია, არამედ რელიგიური, და ეს გარემოება დიდ სიხარულს გამოიწვევს ქართველ ისრაელთა ფართო წრეებში. მით უმეტეს, რომ 1917 წლის 19 ნოემბერს ეროვნულ ყრილობაზე ქართველ ისრაელთა წარმომადგენლებმა თქვა, – თქვენ ხედავთ ჩემს მკერდზე ისეთივე სამფეროვან ქართულ ეროვნულ ემბლემას, როგორსაც თქვენ ატარებთ, და ეს ფორმა ღრმა შინაარსის მატარებელი არისო, რასაც ერთსულოვანი ტაშის გრიალი მოჰყვა.

ქართველ ისრაელის სიტყვას და მით გამონეველ ტაშს სათანადო პრაქტიკული შედეგიც მოჰყვა – ეს არის 6 სექტემბრის ეროვნული საბჭოს სხდომა.

ამიერიდან, ვგონებთ ჩვენ, საბოლოოდ უნდა დადუმდნენ ის ენები, რომელნიც ქართველ ისრაელთა და ქართველ ქრისტიანთა განცალკევებისკენ და დაშორებისკენ მიისწრაფოდნენ. ამას ისინი ვეღარ მოესწრებიან. ეს უნდა დაისსომონ რუსეთელ ებრაელებმაც, რომელთა მეტად მცირე რიცხვს ქართველი ხალხის კეთილშობილებამ ერთი ადგილი მაინც უბოძა.

იოსებ ხანანაშვილი

სასაზღვრო დეპარტამენტის სამედიცინო ბრიგადამ დროებით ონის რაიონული საავადმყოფოს შენობაში დაიდო ბინა. საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ბრიგადის წევრებს მუშაობის ნორმალური პირობები შეუქმნა.

ექიმებმა თბილისიდან წამოღებული ოთხივე სადიაგნოსტიკო აპარატი გამართეს და მუშაობას შეუდგნენ. განსაკუთრებით ბევრია ექოსკოპიური გამოკვლევების მსურველები, თუმცა არც უროლოგი ირაკლი კიკნაძეა უსაქმოდ,

არც ნეიროქირურგი ნიკო საინიშვილი. ლინა სინახჩიანს კი მთელი დღე თავის წამოწევის საშუალება არ ჰქონდა, ექოსკოპთან იჯდა.

სასაზღვრო ჯარების ჰოსპიტალის მთავარი ექთანი ქეთინო კაციაშვილი კი **გაგლეჯაზუა** – ყველგან სჭირდებათ.

– თბილისში უნდა დავბრუნდე. ჩემი საქმე არაფერია, – ბრაზობს სტომატოლოგი ეკა ციციხაია.

– ნუ ჩქარობ ძვირფასო, შენი დროც მოვა! გახსოვს, გასულ წელს დაღის ხეობაში ხალხს ას შვიდი კბილი რომ **დააძვრე?** – ამშვიდებს ქირურგი ალექსი კომპელაშვილი.

– გამოკვლევა ოთხმოცდაათოთხმეტმა კაცმა გაიარა, – ანგარიშს აბარებს მთავარი ექთანი ბრიგადის ხელმძღვანელს ლადო აფხაიძეს.

მუშაობა ჯერ არ მთავრდება. აქედან სასაზღვრო რაზმის შტაბში მიდიან, მესაზღვრეებთან. გვიან ღამით კი გლოლაში აპირებენ გავლას, ერთ ოჯახში, რათა მძიმე ავადმყოფი გამოიკვლიონ.

– ძალიან სასიამოვნო იყო, რომ ონის ებრაელთა სათვისტომოს ხახამმა მიხაელ ხახანაშვილმა თავისი ოჯახის წევრი მოიყვანა ჩვენთან გამოსაკვლევად – მითხრა ბატონმა ლადო აფხაიძემ.

იმ დღეს ბატონ მიხაელს შეეხვდი და ინტერვიუ ვთხოვე.

– მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიას არ ახსოვს განსხვავებული რელიგიის ხალხთა თანაცხოვრების მეორე ისეთი მაგალითი, ქართველ და ებრაელ ხალხთა შორის რომ ჩამოყალიბდა საუკუნეების მანძილზე – თქვა მან.

ჩვენი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის საიუბილეო თარიღი წელს ფართოდ აღინიშნება როგორც ისრაელში, ისე საქართველოში.

შესაძლებელია ონში საქართველოს პრეზიდენტი ჩამოვიდეს. საქართველოში მრავალ სტუმარს ველოდებით საზღვარგარეთ ქვეყნებიდან. ყველაზე წარმომადგენლობითი დელეგაცია ისრაელიდან იქნება, პრემიერ-მინისტრის ბატონ ნათანიაჰუს ხელმძღვანელობით.

– დავით შიმშილაშვილის შესახებ თუ გსმენიათ რამე?

– მე ახლახან დავბრუნდი ისრაელიდან, სადაც მრავალ ცნობილ პიროვნებას შეეხვდი. მართალია, ბატონ დავითს პირადად არ შეეხვედრივარ, მაგრამ ჩემი მეგობრებისგან

ვიცი მის შესახებ. იგი ისრაელის აბსორბციის სამინისტროში მუშაობს. ეს სამინისტრო ახალ რეპატრიანტთა კეთილმოწყობაზე ზრუნავს ისრაელის ქვეყანაში; როგორც ვიცი, ისიც აპირებს საქართველოში ჩამოსვლას.

უმალ თვალწინ დამიდგა ჩემი მეგობარი, უგანათლებულესი პიროვნება, ცნობილი მეცნიერი და ჟურნალისტი დავით შიმშილაშვილი, რომელმაც 1977 წლის სექტემბერში დატოვა საქართველო... მრავალი წელი არაფერი ვიცოდი მის შესახებ. ზუსტად ათი წლის წინ, 1988 წლის 29 ნოემბერს ბარათი მივიღე:

ალბათ წარმოგიდგენია, როგორ მიჭირს ამ ბარათის წერა...

ამ ბარათმა ნაწილობრივ მაინც ხომ უნდა დამაბრუნოს ჩემთვის ძვირფას ადამიანებთან, შენთან, ქ-ნ ასმათთან, ბატონ ვახტანგთან (დათო ცნობილი ექიმის ვახტანგ გუნიას ოჯახთან მეგობრობდა – ჯ-ჯ.).

არც ისე ადვილია ათი გრძელი წელიწადის შემდეგ ასეთი შეხვედრა.

ძნელი იყო 10 წლის წინ ყოველივე იმის დაჯერება, რაც ახლა ხდება.

ჩვენ დავტოვეთ საქართველო, და იმასაც შევეგუეთ, რომ მხოლოდ ფიქრებსა და ოცნებებში შეგვეძლო კვლავ გვეხილა იგი.

ამიტომაც არ გწერდით, რადგან თითოეული ასეთი წერილის წერას სიცოცხლის ნაწილი მიაქვს და ვინ მოთვლის, რამდენ რამეში სჭირდება ადამიანს სიცოცხლის ძალა ახალ ქვეყანაში დასამკვიდრებლად.

მრავალი რამ გადამხდა ჩემს ახალ სამშობლოში დამკვიდრების გზაზე. ყველაფრის აღწერას ალბათ მთელი წიგნი დასჭირდება...

მას შემდეგ ხან წერილით, ხან ტელეფონით ვეხმინებოდი ერთმანეთს, მაგრამ დავითი საქართველოში ვერ ჩამოვიდა.

ღმერთმა ინებოს, იქნებ წელს მაინც ახდეს ეს სურვილი, ჩემო დათო! სიხარულით ჩაგიკრავთ გულში!

ვეუმბერ ჯიშკარიანი



მსოფლიოში ერთადერთი, ანუ უინაური გვქვლის აგზავნი...

რა ღირს მოტეხილი ფეხის მკურნალობა ამერიკაში?
ცნობილი მწერლის სტივენ კინგის ადვოკატის, უორენ სილვერის აზრით, სამედიცინო გამოკვლევები და ოპერაცია მის კლიენტს 65-75 მილიონი დაუჯდა!!!

სტივენ კინგი სადაზღვევო კომპანიისაგან 109 მილიონ დოლარ კომპენსაციას ითხოვს, თუმცა თვლის, რომ ეს თანხა სრულადაც ვერ აანაზღაურებს მიყენებულ ზარალს...

რა ღირს მოტეხილი ფეხის მკურნალობა საქართველოში, კერძოდ, ბიჭიკო ასკურავას კლინიკაში?..

ამასწინათ სახელგანთქმული ამერიკელი მწერლის სტივენ კინგის ადვოკატმა უორენ სილვერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისმა კლიენტმა სადაზღვევო კომპანია **Commercial Union York insurance**-სგან ათი მილიონი დოლარის კომპენსაცია უნდა მიიღოს.

ბატონი კინგი და მისი მეუღლე ქალბატონი ტავიფა ამტკიცებენ, რომ კომპანიამ – **Commercial Union York insurance** მათ საკმარისი თანხა არ გადაუხადა.

1999 წლის ივლისში სტივენ კინგს ავტობუსი დაეჯახა და მარჯვენა ფეხი მოტყდა. იგი კარგა ხნით მიეჯახა სარეცელს. ამერიკაში არ დარჩენილა ჟურნალ-გაზეთი, ამ შემთხვევის გამო ინფორმაცია არ დაებეჭდა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა პოპულარულ ჟურნალ **People**-ში დასტამბული ფოტო – საავადმყოფოს პალატაში, სანოლზე წამომჯდარი მწერალი გულსაკლავად დაღონებული გაჰყურებს სივრცეს, რომელსაც რკინის წკირებით დახვრეტილი ფეხი უსიცოცხლოდ ჩამოუშვია სანოლიდან; თითქოს გრძნობს, როგორ ჟონავს სისხლი ჭრილობიდან...


– **ჰაი დედასა!** – სად არის ახლა ბიჭიკო ასკურავა, რომ ეგ ბეჩავი წამებისაგან გაანთავისუფლოს-მეთქი, – გავიფიქრე მაშინ.

სტივენ კინგს და მის მეუღლეს მიაჩნიათ, რომ სადაზღვევო კომპანიისაგან ათი მილიონი დოლარი კომპენსაცია უნდა მიიღონ, თუმცა თვლიან, რომ მიყენებულ მორალურ და მატერიალურ ზარალს ეს თანხა სრულიადაც ვერ აანაზღაურებს.

ადვოკატ სილვერის აზრით, სამედიცინო გამოკვლევები და ოპერაცია მის კლიენტს 65-75 მილიონი დაუჯდა!

სტივენ კინგის განცხადებაზე სადაზღვევო კომპანიას ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

ბიჭიკო ასკურავას საგვარეულო მალამოს უნიკალურობაში არასოდეს დავეჭვებულვარ, მაგრამ ასჯერ გაგონილს, ერთხელ ნანახი სჯობს! – კირის წკირებით




ბიჭიკო ასკურავა

დახვრეტილ სტივენ კინგის ფოტოსურათს რომ დაგხედე, საბოლოოდ დაფრწმუნდი – რაკი ამერიკაში, ამ სუპერსახელმწიფოში, სადაც სამედიცინო უზრუნველყოფა ლამის ფანტასტიკის ზღვარს უახლოვდება, მოტეხილებს კვლავ ტრადიციული მეთოდებით მკურნალობენ, – **ბიჭიკო ასკურავა მართლაც ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც ტრავმებს თაბაშირისა და რკინა-კავეულის გარეშე კურნავს საგვარეულო ჯადო-მალამოთი!**

სტივენ კინგზე დასტამბულმა ინფორმაციამ ერთი შემთხვევა გამახსენა...

ეს იყო სამი წლის წინათ, გვიან საღამოს. ბიჭიკო ასკურავასთან კლინიკაში ოთხნი ვიყავით. უკვე შინ წასასვლელად ვემზადებოდით. სამუშაო დღე მთავრდებოდა, ოფიციალური სამუშაო დღე, თორემ პაციენტი აქ შუალამესაც მოჰყავთ და ალიონზეც. ასკურავას კლინიკის კარი შეჭირვებულთათვის მუდამ ღიაა...

ბიჭიკოს მეგობარმა ავთო შანიძემ და მისმა ნათესავებმა კაბინეტში ახალგაზრდა კაცი მალხაზ რამიშვილი შემოიყვანეს, რომელსაც მარცხენა ფეხი ჰქონდა დაზიანებული. კაცს ტკივილისაგან სახე შეშლოდა, გაფითრებულიყო. სიმწრისაგან იკრუნჩხებოდა, თუმცა უხმოდ იტანდა ტკივილს, ზოგჯერ ყრუდ თუ ამოიგმინებდა. პაციენტს წვივსა და კოჭში რკინის წკირები ჰქონდა გაყრილი (სწორედ ისეთი, სტივენ კინგს რომ ჰქონდა). ფეხი ფოლადის ნახევარწრიული ფირფიტებით ჰქონდა გაკოჭილი. კარგად მახსოვს, მაშინ ამ სამოცდაათიან წლებში, ეს მეთოდი ტრავმატოლოგიაში პანაცეად იყო მიჩნეული.



ქოლბასკურავას ოჯახი

გამოგონების ავტორებს ქვეყნის უმაღლესი ჯილდო – ლენინური პრემია მიენიჭათ...

ბიჭიკომ ფოლადის ნკირები მკვნეტარით გადაჭრა, ძვლიდან ამოაძრო, და მთელი ეს აჩონჩხილი რკინის გროვა ურნაში ჩაყარა. ნვივიდან და კოჭიდან, სხეულთან რკინის ნკირების შეხების ადგილიდან სისხლი ჟონავდა... ამის შემყურეს, ლამის გული შეგვიღონდა... ავადმყოფს ოდნავ უტოკავდა ყბა. იგი უაზროდ დასჩერებოდა დაჩეხილ ფეხს...

– **ყასბები!** – კბილებშუა ავად გამოსცრა ჩემს ზურგსუკან მდგომმა ავადმყოფის ნათესავმა.

ბიჭიკომ სახვევები შემოხსნა.

ირგვლივ მძაფრი სუნი დატრიალდა, თურმე, კიდურს უკვე ლპობა დაეწყო...

როგორც კი მკურნალმა ჭრილობებზე მალამოთი გაჟღენთილი საფენები დაადო და შეხვევა დაიწყო, ავადმყოფს ფერი ეცვალა, ლოყები შეეფაკლა, გაიღიმა კიდეც...

ეს მართლაც სასწაული იყო, თითქმის დაუჯერებელი ამბავი, თუმცა ყველაფერი ჩვენს თვალწინ მოხდა...

მას შემდეგ მალხაზ რამიშვილზე არაფერი მსმენია.

გავიდა ზუსტად ერთი წელი.

იმ დღეს ბიჭიკოსთან საღამოს მივედი. საბერძნეთიდან გამოგზავნილი ბარათი მივუტანე. ჩემი მეგობარი, ქირურგი მარინა ხაჯიდი ათენში კლინიკის გახსნას სთავაზობდა და საკონსულტაციოდ საქართველოში ჩამოსვლის ვადას უთანხმებდა.

კარი ავთო შანიძემ შემოაღო.

მისი ნათესავი ქალბატონი ნაქცეულიყო, რაღაც მოეტეხა, ტკივილისაგან ისე იყო დაოსებული, კლინიკაში ვეღარ წამოეყვანათ.

– **ბიჭიკო! შინ უნდა წამომყვე! ხომ იცი, ჩემს ოჯახში შენი როგორი იმედი აქვთ.**

– სურათი მაჩვენე!

– **უიმე! სიჩქარეში სურათის წამოღება დამავინწყდა!**

– შენ მაინც იცი, სურათის გარეშე წამოსვლა უაზრობაა. ხომ უნდა ვიცოდე, რა მდგომარეობაა, თან რა წამოვიღო.

ავთო სწრაფად გატრიალდა. ნახევარ საათში რენტგენის სურათით დაბრუნდა.

ავადმყოფს თეძოს ძვლის მოტეხილობა ჰქონდა.

– კარგი, ნავიდეთ,

– **მალხაზ რამიშვილი როგორ არის? – ერთი წლის წინანდელი ამბავი გავახსენე ავთანდილს.**

– ნუ მეტყვი, გადასარევად! კაცს კინაღამ ფეხი მოკვეთეს, – განგრენა გაქვსო! ხომ გახსოვს, როგორი მოვიყვანეთ. ბიჭიკომ ერთ თვეში ფეხზე დააყენა. მალხაზი ბიჭიკოზე ლოცულობს, – მის ამაგს რა დამავინწყებსო? ღმერთმა ბიჭიკოს თავი მიცოცხლოს, თორემ იმ ექიმების **წყალობით** უკვე ცალფეხა ვიქნებოდიო, – ამბობს.

რამდენიმე ხნის წინათ ხელისუფალთაგან და ჯანდაცვის სამინისტროს მესვეურთაგან დევნილს, ამჟამად **ფირმა ასკურავას** პრეზიდენტს, ჩინეთ-ისრაელ-ამერიკის ხალხური მედიცინის აკადემიის წევრს, პროფესორს, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს ბიჭიკო ასკურავას დაბადებიდან სამოცი წელი შეუსრულდა.

იმ საღამოს მოსაწვევი ბარათის ტექსტს ვადგენდით ბიჭიკოს საიუბილეო საღამოსათვის, რომელიც **ბერიკონში** უნდა გამართულიყო.

კაბინეტში ახალგაზრდა კაცი შემოვიდა, ფეხზე გაიხადა და უსიტყვოდ ჩამოჯდა ტახტზე.

– **მოდი, შეხედე! არასწორი მკურნალობით კაცს თითი**



ანა აბუსერიძე-ასკურავა, ბიჭიკო, მზეო, ლიანა ასკურავები

მოჰკვეთეს! – მიხმოზს ბიჭიკო.

მოსული 34 წლის რეზო ლაგაზიძე აღმოჩნდა, ზემო აღვანიდან.

– **როგორ მოგივიდა?** – ვკითხე.

– სამი წელია, ფეხი მტკივა, კოჭს ზემოთ მისივდებოდა. ძლიერ შევწუხდი, ორი თვის წინათ ოპერაცია გავიკეთე, მარჯვენა ფეხზე მეორე თითი მომკვეთეს. მითხრეს – განგრენა გაქვსო, ძვლის დაშლა დაგეწყებაო! სხვა რა გზა მქონდა, გავიკეთე. ერთი თვის წინათ ჩვენმა სოფელმა გოგლიკა ცისკარიშვილმა მირჩია, ასკურავათან მივსულიყავი. თურმე ადრე, გოგლიკასაც მასთან უმკურნალია. გოგლიკას სიზმარიც დაეჯერება და რაღას დავახანებდი. აქ, ერთი თვის წინათ მოვედი. ადრე, სიარულს ვინ ჩივის, რომ ვიჯექი, მაშინაც ტკივილები მკლავდა. ახლა, როგორც ხედავთ, დავდივარ. ტკივილები მომეხსნა, მაგრამ შორ მანძილზე სიარულისას ვიღლები. ბატონი ბიჭიკოს იმედი მაქვს. მჯერა, მისი დახმარებით ძველი ჯანი დამიბრუნდება!

– **იმედი ნუ მოგიშალოს, რეზო ლაგაზიძე!**

ფენომენი №10. 2001.

ჯუმბერ ჯიშკარიანი

რედაქციისგან: ჯუმბერ ჯიშკარიანი ახალ წიგნში **ფრაგმენტები ამერიკული დღიურიდან და წერილებში** ბიჭიკო ასკურავას მკურნალობის მეთოდზე მოგვითხრობს, – **ბიჭიკო ჩემი ძმაა!** – ამაყად თქვა ბატონმა ჯუმბერმა. როდესაც მკურნალს მის ავადმყოფობაზე ვუამბე, თვალბეზე ცრემლები მოადგა – ვერ მოვიხანხულებ, თითქოს, მეც დამნაშავე ვარ, დიდი სიყვარულით მომიკითხეო... ბიჭიკო ასკურავას დაბადებიდან 79 წელი უსრულდება. საიუბილეო საღამოსათვის მადლიანი კაცის მოსაწვევი ბარათების ტექსტს ისევ შეადგენენ. მე კი ბატონი ჯუმბერის მილოცვას გადავცემ...

თბილისი, ლესელიძის ქ. №25/

ტელ.: 2999694, 2987995,

ბიჭიკო ასკურავა: 577411911

დავით ასკურავა: 593550030

www.facebook.com/askuravahealer



დავით ასკურავა და პაციენტი



ბიჭიკო ასკურავა და სსსულიერო ბირი



ბიჭიკო ასკურავა და მოჭიდავეები



ირაკლი ასკურავა, პაციენტები და მეგობრები



იონა, მზეო, ლიანა ასკურავები



ურეკი, ბიჭიკო ასკურავას ოჯახი



ჯუნა დავითაშვილი, გიორგი სულაქველიძე და ბიჭიკო ასკურავა



ბიჭიკო ასკურავა მეგობრებთან ერთად



დავით ასკურავა



ბიჭიკო და ირაკლი ასკურავები



ბიჭიკო ასკურავა მოსკოველ მეგობრებთან



სულხან ციმაკურიძე, ბიჭიკო ასკურავა, თამაზ კვიციანი



ალბერტ თავაძე, რუდიკო მეიშვილი და დათო ასკურავა



ბიჭიკო ასკურავა მეგობრებთან და შვილიშვილებთან



გენერალს შვილიშვილი შეეძინება, ამ დროს დაკავებული ჰყავთ, ახალ-შობილის სანახავად ადიუტანტს გააგზავნის:

- ბატონო გენერალო, რომ ნახოთ, როგორ გგავთ, გაგიუდებთ, მელოტია, ლიპიანი, არაფრის აზრზე არაა და მაინც ბევრს ღრიალებს...



გურული ცოლი ეკითხება ქმარს:

- რა გარეუქო დაბადების დღეზე?
- წუთიერი დუმილი...



გურულს ეკითხებიან:

- კაი სიძე გყავს?
- უფუ, რას ჩივი ძამა, იმფერია მუხას მოგლეჯს, მარააა...
- მარა, რა?
- რაი და სა წეილოს აღარ იცის!!!



გურული სტუმრადაა, ოთხჯერ ამოუსვა კოვზი ჩახობილში და ოთხივეჯერ ფრთა ამოვიდა...

- რაია, აი, ძამა, ვერტალიოტი დაკალით თუ ქათამი?!



გურული ექიმთან მივიდა:

- ექიმო, ვკვდები, მიჭირს, ნელ-ნელა ვშარდავო...
ექიმმა გასინჯა და პროსტატის ნაწილები გამოუწერა.

მივიდა გურული აფთიაქში, იანგარიშა გოგონამ და უთხრა:

- 87 ლარის არის თქვენი წამლები.
- მომე, ჩემო დაია მაი რეცეპტი და წვევდი სახლში, ნელ-ნელა მოვფსამ, არსად არ მეჩქარება მე!!!



გურულს კახურ ქელეხში დაპატიჟებენ. გადახედავს სუფრას და გადირევა, - ხაშლამა, შილაფლაგი, მწვადი, შემწვარ-მოხრაკული... აღფრთოვანებული წამოიძახებს:

- ა, ძამა, ხალხი! ა, ძამა, სუფრა! რა უნდა კტარს გურიაში?! კტარი სულ კახეთში უნდა იყოს!!!



- ბაღანაზე ვიტამინები მიღდა, - ეუბნება გურული პროვიზორს.

- რომელი ბატონო?
- მრგვალი როა.
- გასაგებია, მაგრამ ა, ბე თუ ცე?
- მია სულერთია, პატარაა, ჯერ კითხვა არ იცის...



გურულმა როგორც იქნა კომისარიატის ექიმი დააენმუნა, რომ მხედ-



ველობა არ უვარგა. იმ საღამოს ახალი ამერიკული ფილმის სანახავად კინოში შევიდა. ჰოი, საოცრებავ! კომისარიატის ექიმი გვერდით არ უზის?! გურული არ დაბნეულა, მიუბრუნდა და ჰკითხა:

- უკაცრავად, ბატონო, აი ავტობუსი ჩონატაურში ხომ გეიარს?!



გურული აზიდევს აკეთებს, გამოიარა მეორე გურულმა და ეკითხება, - ქალი როო უყაი ძამა, მოგპარეს?!



გურულს პოლიციაში დაანყებინებენ მუშაობას, მისცემენ მკვლელის სურათს, - ეს დასაჭერია, უბრძანეს...

- ნენა, როო ულებდით სურათს, დაგეჭირათ მაშინ, სა ვდიო ახლა მე!!!



- რაჟიკუნა, ე ყანა, რავა კრუგზე მოგიხნავს!!!

- რა ვიცი, ბოშო, ცხენი ვიყიდე და ცირკის არ გამოდგა?!



გურული მატარებლით მგზავრობს. ხედავს მის წინ მჯდომი ქალი ნერვიულობს.

- რა განერვიულებს ქალბატონო?

- ჩემი ქმარი ჟურნალის საყიდლად ჩავიდა, მატარებელი დეიძრა, ქე დარჩა. რა მეშველება?! - აქვითინდა ქალი.

- ეუჰ, მაგიზა დარდობ ქალბატონო?! მაი აფერი, აგერ მე გათხუებ ჟურნალს...



გურული ღამით საშინელ სეტყვამი მოყვა, თავი კოპებით აქვს საგსე, ამ დროს გაიღვავებს...

- ხო-ხო, გოოუნათე, გოოუნათე, არ ამაცილოს!!!



- ძამა, როო უყაი შენი ძალი?
- მოვკალი.

- რეიზა?
- აფერისტებს რომ დეინახავდა, სულ უყევდა!!!

- მერე, შენ რა გინდოდა, რას ერჩოდდი?

- მერე მეც დამინყო ყეფა, ამიზა მოვკალი.



სომხები ქეიფობენ და ყველა გამვლელ-გამომვლელს ეუბნებიან, - თქვით, ღმერთო მარტო სომხებისთვის გვამუშავო...

გამოივლის გურული, უთხრეს, - შენც ასე თქვიო!

- გურული მალე დათანხმდა და უპასუხა, - ღმერთმა ოღონდ სომხებისთვის მამუშაოს, შაბათ-კვირასაც არ დავისვენებო.

სომხებს მოეწონათ, აქეიფეს გურული. შუა ქეიფში კი ეკითხებიან:

- სად მუშაობ?
- მესაფლავე ვარო...



გურული დამლაგებელი თავდაცვის სამინისტროს ტუალეტში:

- ჰმ, კაცმა რომ გკითხოთ, ტყვიას ტყვიამი აჯენთ!!!



ამერიკაში წასული შვილი, დედას ურეკავს გურიაში:

- მენატრები შვილო, რეიზა არ ჩამოი ამდონხანს?! - გადირია სიხარულით დედა.

- კი მინდა, ნენა ჩამოსვლა, მარა მრცხვენია!

- რეიზა, რა ქენი ნენა ამფერი, სახლში დაბრუნება რომ გრცხვენია?!

- ცოლი მევიყვანე!
- მაგას რა ჯობია, ნენა!!!
- ზანგია...
ყურმილში პაუზაა....

- სიყვარულს ფერი არა აქ შვილო, ჩამოი და ჩამეიყვანე!!!

- ოთხი შვილი ჰყავს ნენა!
კიდე პაუზაა...

- არა უშავს ნენა, გეიხარებს კუთხე, ეზოში შავტუხი ბაღნები რომ ირბენენ. ჩამოით!

- კი მარა, სად დავგანვენ ამდენ სულს?!

- შენს ძმას ნალიაში, მამაშენს სანანახელში...

- შენ, ნენა, სა დანობი?!

- მე, ნენა, რავარც დავკიდებ ყურმილს, იმ მინუტში კუბოში ჩავნობი!!!



გურული ცოლი და ქმარი კლდეზე ადიან. ქმარი გადმოვარდა, ცოლი უყვირის:

- ხელი მეიტხე?
- არა!

- ფეხი მეიტხე?
- არა!

- თავი გეიტხე?
- არა!

- კისერი მეიტხე?
- მაცალე ქალო ჯერ დავარდნა და მერე გეტყვი!!!




ღირსებად დაგვიტოვებთ და გთხოვთ გთხოვთ



www.sandomi.ge

ლევან გოთუას ხელით გაკეთებული საქმე ჩვენს მთებზე
გადმომდგარ უძველეს ციხე-კოშკებსა და მონასტრებს
გვაგონებს, რომლებმაც საუკუნეებს უნდა გაუძლოს...

რევაზ ჯაფარიძე



ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

ISSN 2346-7606
9 772346 760009